წელიწადი მეოთხე. № 4. ფასი 25 კაპ.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.



15 თებერვალი 1916 წ.

ქუთაისი

სტამბა „ძმობა“ ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

შინაარსი:

1. სახსოვარი, ლექსი, აკაკისა.
2. დევნილები, პოემა, ობოლი მუშისა.
3. „პრიგავარის დვდელი“, შემდეგი, მელანიასი.
4. ზამთარი, ლექსი, ა. ხაბულიანისა.
5. მოლოზანი და მზე—ჭაბუკი, დ. თურდოსპირელისა.
6. მზის მოლოცვა, ლექსი, ობოლი მწყემსისა.
7. შემოდგომა, ლექი, ილ. გოგიასი.
8. ჩემი ჯორი, მოგონება, რ. საჯავახოელისა.
9. ბარათი, ლექსი, კ. მიმქრალისა.
10. ბძოლა—იმედი, ლექსი გ. ლადოშვილისა.
11. ილია ლუკას ძე ბახტაძე (ილ. ხონელი), მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, ლ. ბახტაძისა.
12. განშორება, ლექსი, სანდრო მეგრელისა.
13. აკაკის გარდაცვალების წლის თავზე.
14. ელისაბედ ჩერქეზიშვილის ასული.
15. სულით ავათმყოფობა, მკურნალის ს. დადუნაშვილისა.
16. რედაქციისგან.
17. მოგზაურობა რაჭა—ლეჩხუმში შემდეგი, ამბერისა.
18. საისტორიო ცნობა პეტრე მირიანიშვილისა.
19. სახელმწიფო დუმა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება“-ზე,

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავა რედაკტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლ ებენ

წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ., ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ.

ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, ჭიათურაში—პლატონ კილასონიასთან, სამტრედიაში—მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—კოწია გამყრელიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში და ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

ცხოვრება № 4.

15 თებერვალი. 1916 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

სახსოვარი.*)

(ილ. ხონელს.)

ნიჭი უებრო, სწავლის მოყვრობით
დაგვირგვინებულ, დამთავრებული
შესწირა მოძმეთ, თვით მე ვარ მოწმეთ,
თან ჩაატანა სული და გული!..

—

ამ ცრუ სოფელმა, დაუნდობელმა,
არ დააცალა მშრომელსა შრომა...
ვინც იყო ყველას მოპირდაპირე
და არ უყვარდა ქვეშ-ქვეშათ ძრომა!

—

მარა მის შრომას და მის გულის თქმას
ვერ გააქარწყლებს საფლავი ბნელი!..
მის მახვილ-კალამს ვერრა დამალავს,
გარს ემოსება სხივთა ნათელი!..

—

თანა მეკალმე, გეთხოვები მე,
აქ განისვეხებ და არ ხარ მკვდარი!..
ის არ მოკვდება, ვისაც სამშობლო
იგონებს ხოლმე, ვით მეგობარი!!..

აკაკი

დაწერილია 15 წიფობისთვეს, 1907 წელს.

*) ეს ლექსი აქ ახლა პირველათ ისტამბება. ჯერ არსად ყოფილა იგი დაბეჭდილი. რედაქტორის თხოვნით, ეს ლექსი დასაბეჭდათ რედაქციას გამოუგზავნა პატივცემულმა სერგეი ლუკასძე ბახტაძემ, რომელსაც ამისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ.

რედ.

დევნილები.

პოემა.

„ცუდათ ხო მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!
და ჩემს შემდგომათ მოძმეებს ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრათ მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

ნ. ბარათაშვილი.

ფესავალი.

ხსნა-შვების დროშა სხივ-მფენი
ქარმა შორს წააფრიალა,
მაშვრალთ მიდამო შვებული
კვლავ შეძრა, შეაწრიალა.
ტკბილი ოცნების სამეფო
სევდის ზღვამ გამიტიალა...
ცხოვრების ტალღამ გამრიყა,
დამიხშო წინსვლის კარები,
ლამობს წალეკოს ბილიკი,
სისხლის ღვრით გამონარები...
საკნის შავ კედლებს შევყურებ
ტყვეობით განამწარები:
ეჰ, თუ აქ მოვკვდე ობოლი—
შავ ფარდას მივეფარები!

სვავი საწიწკნათ მოილტვის,
ვგონივარ ლეშათ ქცეული;
ყორანი შავათ დამჩხავის,
სევდის შხამს მაფრქვევს წყეული;
სულს ცეცხლს უკიდებს, ცრემლები,
სატრფოს ღაწვებზე მსხვრეული!..

ჰა, კვლავ ზუზუნებს ქარ-ბუქი...
მაინც არ ვღრკები ეული!
კაეშნის ბუდეს ფერფლათ ხდის
იმედის სხივი გძნეული!

ფუ, იმ მებძოლსა, ვინც იქნა
ლაჩრულათ უკუ—ქცეული!
მე—კი ვერ დამძლევს ქვემძრომთა
ლაშქარი შემოსეული!
და, ჰა, ხელთ ვიღებ კალამსა—
დევნილებს მივესალმები!
დრო მოვა, კვლავ მოიქარგვის
მზის სხივითჩვენი ალმები,
კვლავ გაიშლება წარმტაცათ
სისხლის ზვირთებში ნავლები!
მსურს, რო შევაქო შალიკო
მედგარი, შეუპოვარი,
შევაქო მუშა გიორგი
მებძოლი სწორუპოვარი;
შევაქო ტურფა ვარდიკო
საცნობი და სახსოვარი,
გულით სპეტაკი, ვით ფიფქი,
მთის თხემზე დანათოვარი!

—

თავი პირველი.

I

ერთ დროს მდიდარ მემამულეთ
ითვლებოდა ელიზბარი,
მამა—პაპის დანატოვი
ქონდა ბაღი დაუმჭკნარი.
შიგ ცხვრობდა უდარდელათ,
არ დაჭროდა სევდის ქარი;
სალხენათ და საქეიფოთ
ღია ქონდა მარათ კარი.
ვინც—კი კარგათ მოილხენდა—
იყო მისი მეგობარი,
და, რა დღესაც ქეიფობდა,
იმ დღეს იყო მისი დარი...
თან უყვარდა ნადირობა,
იყო ფრიად გულ—მაგარი,
ყავდა ცხენი სასახელო,
ყავდა ბევრი მეძებარი...
მარა მალე მის მამულსა
დაეხვია ვალის ქსელი;
შეუმცირდა მოსავალი,
დრო დაუდგა მეტათ ძნელი.
უსაქმობას დაჩვეული
არ—რას ქმნიდა მისი ხელი,
მამული—კი ვალს მიქონდა,
მისდევდა რა წელსა წელი...
მას მეუღლე გულ—კეთილი
ძლიერ ადრე გარდეცვალა:
პირველსავე შვილოსნობას
თან გადაყვა, ენაცვალა...
ხოლო ბავში პაწა—შალვა,
როგორც ვარდი გაიშალა,—
ბებიასთან იზდებოდა
თმა—ხუჭუჭა და შავ—თვალა.

II.

შალვა მეტათ ცელქი იყო,
მხიარული, პირ—მღიმარი;
ერთ ალაგს არ დადგებოდა,
დაჭროდა, ვით ნიავ—ქარი...
ხან მღეროდა—და მისი ხმა
წკრიალებდა, როგორც ქნარი;
ხან ბავშებში თამაშობდა,
კისკასებდა გულ—დამტკბარი...
მხოლოთ მაშინ იყო წყნარათ,
ფთებსა შლიდა მისი სული,
როს ისმენდა ბებიასგან
უცხო ზღაპრებს განაბული,
როცა საშიშ ამბებითა
ცახცახებდა ნორჩი გული,
როცა ღზაპრულ ქვეყნის ველზე
ნავარდობდა ფთებ-შესხმული.—
ერთხელ, იგი განაგძობდა:
„...ზღვის პირს დასვეს ის ასული,
გადმოსჩქეფდა გულ—მწუხარეს
ცხარე ცრემლის ნაკადული.
შორს მოჩანდა გველეშაპი
საზარლათ პირ დაღებული;
ზლაზვნით მისკენ მოსცურავდა,
არ ჩქარობდა ღვთისგან კრული...
ამ დროს გმირი თავის რაშით
ჩამოქროლდა, ვით შურდული,
შეეომა გველეშაპსა,
იხსნა ქალი განწირული...
—ბები, ბები, გამიგონე,
როცა დიდი გავიზდები,
მეც ვიშოვი თოფსა და ხმალს,
ჩაგრულთ დახსნას მეც ვეცდები!

— კი, გენაცვა, კი, მალხაზო!
ტანჯულთ მხსნელი შენც იქნები,
შენც, ვით გმირი, მართლის მჩაგვრელს
თავზე მეხათ დაატყდები!..

III.

ეჰა, კაცის სიყმაწვილევ,
სანთელივით, რომ ენთები!
რა სათნო ხარ, რა კეთილი,
მარა, როგორ მალე ქრები!
როგორც სხივი, მკაცრ ცხოვრების
მღელვარ ზღვაში დაინთქები!
მიწის შვილი ბუნებისგან
გულ—კეთილათ იბადება,
თან დაყვება ღვთაებრივი
ნაზი სული, როცა ჩდება;
მარა, შემდეგ, ბნელ ცხოვრების
სიბოროტით ბოროტდება!
კაცი უნდა გმირი იყოს,
რო ბნელ ყოფნას არ ემონოს,
გულში სხივი მომავლისა,
ვით ისარი, გაეწონოს;
მისკენ ვლიდეს შეუდრეკლათ,
მას შესწიროს, რაც ეშონოს,
ბ, თუ მოთხოვს-თვითც ესხვერპლოს,
წუთიც—კი არ დააყოვნოს!

IV.

შალვა, სანამ ბებიასთან
ცხოვრობდა და იზდებოდა,
დედობრივი ტფობის ქსელში
ყვავილივით იშლებოდა...
დრო მიქროდა... შვენდებოდა
და ძალ—ღონით ივსებოდა,
და მის ყრმობის ტურფა ვარდსა
სევდა ჯერ არ შეხებოდა.
მარა, როცა გარდეცვალა
მას ბებია საყვარელი,
არვინ ყავდა ობლათ, შთენილს,
მისებ მარათ შვების მგვრელი.
მაშინ მისმა ნორჩმა გულმა
იგძნო სევდა, სევდა მწველი, —
აკრთობდა და აცვიფრებდა
მას ცხოვრების ფართე ველი...
და ყრმის პირველ ფიქრთ მორევი
ყოფნის ზღვაში ინთქებოდა!
ელიზბარს— კი თვის მამული,
თუმც ხელიდან ეცლებოდა,
მარა მაინც ქეიფობას
იგი აღარ ეშვებოდა;
ხან აქ იყო და ხან იქა,
სახლში ძვირათ ბრუნდებოდა...
დაობლებულ შალვასთვის—კი,
აბა, სად—ღა ეცლებოდა!

V.

და ერთ დილას, როს მიდამო
მოექარგა ოქროს სხივებს,
მდელოს მკერდზე ცელქი სიო
ათრთოლებდა ნამის მძივებს;
როს ვარდისფერ მარმაშ - ქსელებს
მზე აფენდა მთათა მწკრივებს,
თითქო ხვევდა თფილ ალერსში
ღამის სუნთქვით განაცივებს,—
ელიზბარმა თვისი შალვა
შორს, ქალაქში წაიყვანა,
იქ შალვასთვის ერთ ოჯახში
მას ოსტატი აეყვანა.
მიდიოდა დაღვრემილი...
რაღაცაზე ხან გმინავდა...
ხოლო შალვა ოცნების ფთით
სადღაც შორს, შორს მიფრინავდა...
თუმც მის გულსა ნაღველს გვრიდა
იმ მიდამოს დატოვება,
სადაც იშვა, სადაც იგძნო
სიყმაწვილის სიტკბოება;
მარა მაინც უცხო ქვეყნის
ტკბილ სიტურფე იზიდავდა,
ლაღ ოცნებით მოხიბლული
მიფრინავდა... მიფრინავდა...

VI

ეჰ, ვინ პოვა ჯერ ამ სოფლათ
ოცნებით ქმნილ ქვეყნის არე.
სინამდვილის სისასტიკით
ვინ არ იგძნო სევდა მწარე,
რო შალვას ის ტურფა მხარე,

ოცნებაში მოელვარე
არ დაენთქა ცხოვრების ზღვას,
არ ეღვარა ცრემლი ცხარე?..
როცა იგი შორდებოდა
მშობელ ქვეყნის ნაცნობ არეს,
სხვა ქვეყანას უხატავდა
ლაღი ფიქრი გულ-მღელვარეს,
აქ-კი მსგავსი ვერ-რა პოვა...
თლად დაობლდა მისი გული;
ისე გძნობდა, ისე თავსა,
ვით ყველასგან განწირული.
ბევრი სევდით სავსე ღამე
ცრემლის ფრქვევით გაატარა;
სანატრ ყრმობის ცის კამარა
სევდის ღრუბლით დაიფარა...
და თან-და-თან შეეჩვია
გული ფიქრებს კაეშნიანს:
თვის თავს, ისე უყურებდა,
როგორც ობოლს შავ-ბედიანს...

მას პირველათ მასწავლებლის
ალერსიც-კი აშინებდა,
შეუჩვეველ უცხო ხმებზე
გული თრთოდა, ცახცახებდა;
მარა მალე მასწავლებლის
მოფერება-დარიგებით
შეეჩვია შალვა სწავლას,
უსმენდა გულ-მოდგინებით...

დრო მიქროდა... და შალიკო
მასწავლებელს აცვიფრებდა,
სასწავლ საგნებს ნიჭიერი
სულ ადვილათ ითვისებდა.
ის სწავლის დროს თითქო თავის
ობლობასაც ივიწყებდა,
გაკვეთილის შეთვისება
სახეს ღიმით უბწყინვებდა...
და სკოლაში შესასვლელათ
მოემზადა იგი, როცა
და ოსტატმა კმაყოფილმა
გზა მშვიდობით დაულოცა,
მაშინ თითქო სიხარულით
გულში სევდა ამოხოცა,
ეგამოცდის დროს ოსტატების
თვალი კრება გააოცა.

გამოვიდა გაბედულათ,
არ შემკრთალა არც ერთხელა,
სახე მბწყინავს, თმა-ხუჭუჭას
შეეცქეროდა ტრფობით ყველა.
მხოლოთ მაშინ შეკრთა ოდნავ,
როს მოხუცმა ჩაახველა,
გადაუსვა თავზე ხელი,
უთხრა: „ბიჭო, ბარაქელა!.“

და, მას შემდეგ, პირველობდა
მოწაფეებში ჩვენი შალვა;
ამხანაგებს დიდს, თუ პაწას
ქონდათ მისი დიდი კრძალვა.
რაკი თითონ გაკვეთილსა
შეისმენდა, შეიგნებდა,
შემდეგ თავის ამხანაგებს
შეცდომებს ის უსწორებდა...
აი, ასე დრო მიქროდა..
შალვაც ქალაქს ეჩვეოდა,
ისე მწვავეთ მის გულს სევდა
ქსელათ აღარ ეხვევოდა,
ისე ხშირათ იმის თვალთგან
ცრემლიც აღარ იფრქვევოდა,
ისე ხშირათ შავ—ბნელ ფიქრებს
გულით აღარ ეძლეოდა.

ბევრი ყავდა მოწაფეებში
მეგობრები გულ-კეთილი, —
ხან აქ იყვენ და ხან იქა,
ნავარდობდენ ფთებ-გაშლილი...
მისმა ცელქმა მეგობრებმა
არ იცოდენ დაღონება,
სულ გასართობს ეაეძებდა
მათი ფიქრი და გონება...
და შალიკოც მეგობრებში
ეძლეოდა გულით შვებას,
ეძლეოდა სიხარულსა
და ყმაწვილურ გატაცებას...

მარა ხან-კი, რაღაც სევდა
მის გულში ღრმათ ჩამარხული
აღიძვროდა... აწვებოდა
თვალებს ცრემლის ნაკადული.
მაშინ იგი გულის კვნესით
გაურბოდა მეგობრებსა,
გაურბოდა მღელვარ ქალაქს,

გაურბოდა კაცთა ხმებსა;
ხან უმიზნოთ ტყის სიღრმეში
მარტოთ, ობლათ დადიოდა,
ტყის ფოთოლთა ნაზი ჟღერა
სევდის ნანას უმღეროდა;
ხან თვალუწვდენ მწვანე ველით
სადღაც შორს, შორს მიილტვოდა,
თითქო ობოლს მოუთმენლათ
დედა-მისი მიელოდა;
ხან მთის ფერდზე წამოწოლით
ღრუბელთ გროვას გასცქეროდა,
მთების ზემოთ, ცისკიდურზე
სხივებში რომ ირევოდა,
ღა თვალ წარმტაც მოციმციმე
თეთრ კოშკებათ შენდებოდა,
შემდეგ, ისევ სხივთ ნაკადში
დნებოდა და ირღვევოდა;
და ხან ქალაქს დაყურებდა,
სევდით გული ეტეოდა,
ვით ცხოვრების დიდი მცოდნე,
აი, ამ ფიქრს ეძლეოდა:
„—თუმცა ჯერ მე ყმაწვილი ვარ,
ბევრი არ-რა გამეგება,
მარა მაინც გულს მიკოდავს
შავად შლილი ეს ცხოვრება...
ამ ბობოქარ დიდ ქალაქში
კაცი ძვირათ იპოვება.
რომ იმის გულს აწუხებდეს
სხვისა კვნესა, გაჭირება.
ყველას მხოლოთ თავი ახსოვს,
დღე და ღამე მისთვის ზრუნავს...
სხვის ჩაგვრაზე, მონობაზე
წუთისოფლის ჩარხი ბრუნავს!..
ერთი შრომობს, ოფლში ცურავს,
მეორე-კი ტკბილათ ხვრინავს...
ტყავს აძრობენ ბედ-შავ მშრომელს,
მარა მაინც ითმენს... სძინავს...
ბევრჯელ ვნახე ბნელ ქუჩებში
თავის თავსა ყიდდა ქალი,
მას ხითხითით უგძნობელი
ეხვეოდა მას ბრბო მთვრალი...
ბევრჯელ ვნახე მათხოვარი,—
ოხ, ნეტავი, არ მენახა!—
მას დაცინვით უყურებდენ,
იძახოდენ: „აი, გლახა!..“
ის—კი სევდით შეცქეროდა
მოსეირნე დიდ ბატონებს.—
ოხ, იმის ხმა, იმის თვალნი
სულს მიღელვებს, გულს მიღონებს!—
„შემიბრალე, შემიწყალე!.“
ნაღვლიანი ხმით ამბობდა...
მარა ქვა გულს მისი ხვეწნა,
აბა, როგორ დაალბობდა!..“
აი, ასე ჩვენი შალვა
ეძლევოდა ფიქრებს მწარეს,
ოცნებობდა, სანამდი მზე
არ აკრეფდა სხივებს არეს.
შემდეგ, სახლში ბრუნდებოდა,
თვის ოთახში ისვენებდა...
მარა სულით ისევ მაინც
აღთქმის მხარეს დაეძებდა...

VII

ჩვიდმეტი წლის იყო შალვა,
როცა მამაც გარდეცვალა;
მწარ ობლობამ ერთხელ კიდევ
აგძნობია თვისი ძალა...
ბავშობისას, თუმცა ძლიერ,
არ უყვარდა ელიზბარი,
მარა ახლა, როცა იგძნო
მარტოობა შესაზარი,
როცა მთელსა ქვეყანაზე
მისთვის არვინ არ ზრუნავდა,
როცა მისი გაჭირება
არავის გულს არ დასწვავდა,—
მოაგონდა მამა-მისი,
ერთხელ მწარეთ რო გმინავდა,
თავის შვილის დაშორება
აღონებდა, გულს უკლავდა,
მოაგონდა... და თვალთაგან
გადმოსჩქეფდა ცრემლი ცხარე,
წუხდა მამის დაკარგვასა
და კვნესოდა გულ-მწუხარე...
ახლა იმას არ ახსოვდა
მამა-მისის ცუდი მხარე,
ახლა შვილი მამას გლოვდა,
მამას გლოვდა გულ-მთრთოლვარე...

მალე სოფლათ გაემგზავრა,
ინახულა თვისი მხარე,
ინახულა ნათესავთა
სასაფლავო და სამარე...
დედის გვირდით ახალ საფლავს
დააშტერა სევდით თვალი...
ობოლს ნორჩ გულს უსერავდა
ტანჯვის ცეცხლის ნაპერწკალი...

VIII

ოხ, მწარეა, მწარე ყრმისა
შავ სიკვდილზე დაფიქრება!
ძნელი არი, როს პირველათ
გულში ფიქრი იბადება,
რომ ოდესმე ისიც, ისიც
ბნელ-წყვდიადში დაინთქება!
რომ ოდესმე ცივ საფლავში
მასაც მღილი დაეხვევა...
მეგობართა ცხარე ცრემლი
უნუგეშოთ დაეფრქვევა...

IX

გულის კვნესით განეშორა
შალვა საფლავს მშობლებისას...
მოიარა... მიმოავლო
სევდით თვალი მამულს თვისას...
ბევრი არ-რა დარჩენოდა,
და ისიც-კი ვალს მიქონდა,
მარა შალვას მისი ჯავრი
ისე დიდი არც-კი ქონდა.
თავის გულში გაიფიქრა—
სწავლისათვის მეყოფაო,
და, შემდეგ-კი, ცხოვრების გზას
ჩემი შრომით გავკაფაო...
და ამ ფიქრით ჩვენი შალვა
ქალაქისკენ გაეშურა,—
გადაწყვიტა სწავლისათვის
ძალ-ღონე არ დაეშურა...
სკოლაში ხო მასწავლებლებს
აცვიფრებდა, პირველობდა,
სახლში კიდევ სხვადა სხვა წიგნს
დღე და ღამე კითხულობდა...
და თან-და-თან მის გონებას
სხვა ქვეყანა ეშლებოდა;
გულში ძალა, სასოება
ფოთებსა შლიდა, იზდებოდა...

X

აი, ამ დროს ბძოლის ცეცხლი
აბობოქრდა ხალხის გულში;
ბნელი ძალა აცახცახდა,
მიიმალა ბნელ ჯურღმულში...
გაიღვიძა შრომის შვილმა,
იწყო რკინის ხუნდის მტვრევა...
აბობოქრდა ცხოვრების ზღვა,
ზღუდეებმა იწყეს რღვევა...
გამოფხიზლდენ დაჩაგრულნი,
არ იხრება მათი ქედი,
თქვეს: „თვით უნდა გამოვჭედოთ
ჩვენი ხსნა და ჩვენი ბედი!“

შალიკომაც თავისი ხმა
ბძოლის კიჟინს შეუერთა,
ხალხისათვის თავ დადება
თავის გულში გაალმერთა.
და გულ-წრფელსა მეგობარსა
გადუშალა ხალხმა გული,
დაანახვა თვისი წყლული,
აგძნობინა, თუ რამდენი
იქ ვაება დამარხულა,
თუ რამდენჯერ უსამართლოთ
დასერილა, დაშხამულა...
და გაბედვით შეებძოლა
შალვა ხალხის შავ-ბნელ მტრებსა...
ბძოლის ველზე ეცნობოდა
ხალხის გულ წრფელ მეგობრებსა.
ერთი იყო მათი ნატვრა—
მისთვის ძგერდა მათი გული:
„ხალხის ხსნა და ხალხის შვება;
ერთობა და სიყვარული“...
და მათ მხნე გულს ვერ აკრთობდა
ვერც ტყვია, ვერც მათრახები,
ვერც შავ—ბნელი საპყრობილე,
და ვერც მისი დარაჯები.
შეუდრეკლათ მიარღვევდენ
ხალხთან ერთად ბნელ—წყვდიადსა...
შეხაროდენ ნათელ ცისკარს,
შეხარიდენ განთიადსა...

XII

მარა, აჰა, კლავ იმარჯვებს
უკუნეთი შავათ-შლილი:
კვლავ შავ ღრუბლით დაიფარა
განთიადი სხივ-მოსილი;
კვლავ ხითხითებს ბნელი ძალა
განთიადით ვარ-ყოფილი;
ჰა, კვლავ კენესის შრომის შვილი,
რკინის ხუნდით შებორკილი!..
და მებძოლთა სისხლ-ნაკადით
დედა-მიწა უხვათ ირწყვის...
დროშა ძმობის, სიმართლისა
უკუ-ოღვევის ცეცხლში იწვის!.,
გლეხის ქოხი, კარ-მიდამო
ცეცხლის ალში გაეხვია...
სხვერპლთა გვამებს მძოლის ველზე
ყვავ-ყორანი დაეხვია...

ვარს ევლება ქვემძრომთ ჯარი...
ფთებს შლის ველათ, დაქრის, დაქრის
გულ-საკლავათ სევდის ქარი...
ეჰ, ვინ იცის, რამდენ დედას
გაუგმირეს სატრფო ტკბილი!
ეჰ, ვინ იცის... მარა კმარა!
გულს მიღონებს მოგონება!..
კვლავ შალიკოს ამბავი ვსცნათ—
რას აკეთებს? რასა შვრება?.

XII

იმ დღეებში, ბნელ დღეებში
ბევრჯელ იყო განსაცდელში;
ბევრჯელ სწადდა შავ-ბნელ ძალას
გაეხვია თავის ქსელში,
ჩაეკეტა ბნელ საკანში,
იქ დაეტკნო მისი ყრმობა,
ვით ბელზებელს, ტლანქის ძალით
აღმოეფხვრა გულში გძნობა.
ბევრჯელ ჩუმათ ხალხის მტრებმა
გაუთხარეს მას უფსკრული,
სურდათ იგი რომ ენახათ
სამარადოთ დამარხული.
მარა მაინც ვერ დასძლიეს,
ვერ შეაკრთეს შალვას გული,—
კვლავ განთიადს შეხაროდა,
მას ეტრფოდა მისი სული.

ბევრი მისი მეგობარი,
დევნილებათ წოდებული
ბძოლის ველზე დაიმარხა
მტერთა ტყვიით განგმირული...
და შალიკოს ბევრჯელ ჩუმათ
დაუღვრია ცრემლი ცხარე,
ბევრჯელ ტანჯვის ცეცხლით სწვავდა
მის გულს ფიქრი, ფიქრი მწარე...
მარა მაინც არ უარყო
გზა, ნარ-ეკლით მოფენილი,
და გმირულათ გადაწყვიტა:
„ან სიცოცხლე, ან სიკვდილი!“

ობოლი მუშა.

(შემდეგი იქნება)

„პრიბავარის ღვდელი.“*)

(შემდეგი.)

VII

— აბა, რო არ გესმის, რასაც ჭლაპარაკობ, უთხრა ერთხელ, ძლიერ წყენის კილოზე, ცოლის ძმამ— დიდი რამა გგონია შენ შენი პური და ღვინო და ორიოდე ჯანდაგი საქონელი! განა ცხოვრება მარტო იმაში მდგომარეობს, რო თავზე საყელი პური და ღვინო გქონდეს, გაჰძღე, მიჰსწვე და მიიძინო?—ემაგ. რე ხო პირუტყვებიც ცხოვრობენ! და, აბა, რით გაირჩევა თქვენი ცხოვრება პირუტყვებისგან? კაცმა სანთელზე პური არა ჭამოს, თვეში ერთხელ მაინც სწორ ამხანაგთან დროება არ გაატაროს; მთელი წლობით ცალიერი პურით იყოროს მუცელი, ან მარტო ნივრითა და ხახვით იყოლოს პირი; მთელ თავისს სიცოცხლეში დაფა-ზურნის ხმა ვერ გაიგონოს, —ამისთანა ცხოვრებას—ცხოვრებას ვეტყვი? ნემსზე ძაფის აგებას რო სასაცილოთ იგდებ, მე სწორეთ ამ ნემსს (ამოიღებს სანემსედან და აჩვენებს) შავყურებ! კვირის კვირობამდი ვმუშაობ; ხანდისხან იქნება, დრო შეჰხვთება, პურის ფულიც ვერ ავიღო! მაგრამ, რასაც მე სწორ ამხანაგებთან ერთ დროებას გავატარებ შა-

*) იხ. „ Ცხოვრება“, №2.

რმანკით, ან დაფა-ზურნით, მთელ შენ სარჩო-საბადებელზე არ გავცელი ამას! აბა, ჩამოდი ქალაქში, როგორი ბამბასავით თეთრი და ბუმბულივით რბილი პური გაჭამო და ლალივით წითელი ღვინო გასვა! თანაც ისეთი გემრიელი საჭმელები მოგიტანო, რო მარტო იმათმა სუნმა გაგაძღოს!

—მე ი შენ ნაყიდ თეთრსა და რბილ პურს, გემრიელ საჭმელებს და ლალივით ღვინოს, ჩემი მოყვანილი გუდაფშუტიანი და გამხმარი პური, ჩემი ლედაკაცის დათესილი მწარე ნიორი და ჩემივე მოყვანილი ჭყაპურტა ღვინო მირჩევნია.

— ჰო და, აბა, რო არ გესმის ცხოვრების გემოვნება, მეტს რას იტყვი?

ბევრჯელ ჩამოვარდება ხოლმე სიძე-ცოლიძმაში ამ გვარი ლაპარაკი და მიხაც თან დათან მარცხდებოდა, ბოლოს, კიდევაც დათანხმდა და შაქრუა წაიყვანა ბიძამ ქალაქში, რომ ესწავლებია ხელობაცა და „განათლებული ცხოვრებაც“.

შაქრო ბიძამ მიიყვანა შეგირდათ იმ სამკერვალოში, სადაც თვით ქარგლათ იყო; ხოლო საცხოვრებლათ თავისთანა ყვანდა. შაქროს ძლიერ ედარდებოდა პირველ ხანებში. მისი სული და გული ყოველ წამს მიფრინავდენ სოფლისკენ, მხოლოთ სხეული არ მისდევდათ მათ.

შეუდგენ მისს წრთვნას (ბეჭებში ჯოხების ტყაპუნს) და უფრო გაუტკბილდა და გაუძვირფასდა ის ადგილი, !ადაც აქამდის უდარდელათა და უტანჯველათ რბოდა. ფიქრითა და გონებით იგი სულ თავის ხბოებთან იყო, თუ დაინახავდა სადმე მწვანე ბალახს, მიიპარებოდა ჩუმათ, გამოგლეჯდა და იტყოდა: „ეს ჩემ ნიშა ხბოს უნდა შაუნახოვო“. ამისთანა სიზმრებს ხო ხშირათ ხედავდა: ვითომც მოსულიყო ისევ სოფელში, გაერეკნა ხბოები საძოვარზე. აი, დაერიკვათ ხბოებს ბუტული; აიშვირეს კუდები და ეცენ ზოგი აქით, ზოგი-იქით. გამოუდგა შაქრო მათ მოსაგროვებლათ, მარა ვერც-კი მოასწრო შეგროვება მათი, რო შახტა, გამოეღვიძა და შეაჭყიტა თვალები ნესტიანი სარდაფის კედლებს.

ხშირათ დაუღვრია შაქროს ცხარე ცრემლები და გათენებამდი თვალი არ მოუხუჭავს, როცა შეუდარებია სოფლათ გავლილი ცხოვრება აწინდელ ცხოვრებისთვის—თვისი ჯიხების სიმწვავით. ერთხელ, გაქცევაც დააპირა სოფელში. ნახა შემთხვევით ნაცნობი სოფლელები, რომელთაც ურმები ჩამოეტანათ ქირაზე. არც-კი იყოყმანა შაქრომ, პირდაპირ დაედევნა სოფლელებს და გამოყვა შინ. მარა ბიძამ დროზე შეუტყო, გამოედევნა და დიდის ტირილითა და მწუხარებით დააბრუნა შვა გზიდან უკანვე. ამის შემდეგ, ბიძა უფრო სასტიკათ ეპყრობოდა, თვალს აღარ აშორებდა, რომ არ გაქცეოდა სოფელში.

შაქროს, ან შაქრუას „წრთვნას“ ერთგულათ შეუდგენ ყველანი— როგორც ბიძა და ოსტატი, აგრეთვე სხვა ქარგლებიც. მარა ხელობის შესწავლაში წარმატება არ ეტყობოდა. ამის მიზეზათ, რასაკვირველია, ასახელებდენ მისს სოფლურ ტეტიაობას. მართალია, შაქრუა მოსამსახურობას კარგათ ეწეოდა, მარა ოსტატი მაინც უკმაყოფილო იყო ხოლმე მაზე, რომ იგი ხელობითაც არ ასარგებლებდა მას და ყოველთვის საყვედურით ცხვირს უხვრიტავდა მისს ბიძას—ეს რა გაუთლელი, ოგანო ვირი მამიგდე დუქანშიო. საყვედურის ასაცილებლათ, შაქრუა გამოიყვანა ბიძამ სამკერვალოდან და ალაფთან მიიყვანა, —იქნება იქ უფრო ივარგოსო.

გაიგო, თუ არა მამამ შაქროს სამკერვალოდან გამოყვანა, ისევ სოფელში დაიბარა. მარა ბიძამ ასე უთხრა შაქროს: „ჩემი ცოცხალის თავით არ გაგიშვებ მამაშენთან; ძლივს დაგხწივე მამაშენსაცა და სოფელსაც, რო ქვეყნიერობისა გაგეგო რამე და ეხლა ისევ სოფელში გაგიშვებ!“

ალაფთან, თითქოს, უფრო ფხიტი გამოიჩინა შაქრომ; მხოლოთ ბოლო ვერ გაატანა —ალაფიდანაც გამოვიდა. ახლაც დაიბარა მამამ სოფელში, მარა ახლა თვით შაქრუამ არ მოინდომა სოფელში დაბრუნება: რათგანც ქალაქი უკვე გაუტკბა მას. რამდენათაც უხეირო-

ბა და უგულისყურობა გამოიჩინა შაქრუამ ხელობის შესწავლაში, იმდენათ შეუსაბამო ნიჭითა და უნარით შემკობილი აღმოჩდა იგი ბიძის ზნე-ჩვეულებათა შეთვისებაში: შარმანკაზე ქუჩებში ფაიტონით სეირნობაში, ძმა-ბიჭებთან დროების გატარებაში დუქან-პადვლებში, თუ საროსკიპო სახლებში და სხვა ამ ვვარ სასიქადულო მოქმედებებში, შაქრუამ თუ არ გადააჭარბა ბიძას, უკან არ ჩამორჩა. სწორეთ ძმა-ბიჭების რჩევა-დარიგებით დაანება თავი ალაფს და შეუდგა დამოუკიდებელ ვაჭრობა-მოქმედებას: დაიდგა თავზე თაბახი, ხოლო რო შესაძლებელი ყოფილიყო მისთვის დროების გატარებაში გაფლანგული თანხის ყოველთვის შევსება, ან ერთბაშათ მოპოვება, იგი შეუდგა, ასე წოდებულ, „ხელსაყრელ“ საშვალებათა შესწავლა-შეთვისებასაც: შეისწავლა ჯიბგირობა და ყომარბაზობა.

შაქრუას ქალაქის გამოჩენილ ბიჭებში უკვე საპატიო ადგილი ეჭირა, როცა პირველათ ესტუმრა დედმამას სოფელში. ძლიერ გაუხარდათ დიდი ხნის უნახავი შვილის დანახვა. მარა სულითა და გულით-კი ვეღარ იცნეს ერთმანეთი შვილმა და მშობლებმა. ერთ კვირაში სრულიათ მობეზრდა შაქრუას სოფელში ყოფნა. წაეჩხუბა მამას, სცემა კიდეც, „თანხისთვის“ ფული წაართვა და გაუდგა ისევ თფილისის გზას. ამის შემდეგ-კი, მოდიოდა ხოლმე შაქრო სოფელში. მხოლოთ ყოველთვის ცემატყეპით იძულებული მამა აძლევდა „თანხისთვის“ ფულებს და ისტუმრებდა ისევ თფილისში.

ბოლოს დროს, შაქრომ მოუხშირა სოფელში სიარულს „თანხის“ მოსაპოებლათ. აღბათ, იმ მიზეზით, რომ უკანასკნელ ხანებში ვერ მისდიოდა საქმე სასურველათ: „ლილა ხანა გაუცვდა“ ო, ამბობდენ მისი ძმა-ბიჭები. ვერც ერთი იმათგანი, ვინც ამ გულსაკლავ სიტყვებს მოურიდებლათ პირში აგონებდენ, ვერ წაუვლიდა შაქრუას წინ დროს გატარებაში, ან სხვა საქმეში. მხოლოთ უბედობა მისი იმაში მდგომარეობდა, რომ აღარც ერთი ხელობიდან აღარა ქონდა წინანდელი სარგებლობა. ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა მისი ცხოვრების ჩარხი, რო, მის ბედზე, ახალი მოძრაობა არ დაწყებულიყო.

როცა თფილისში აქა-იქა დაიწყო „ზაბასტოვკები“, შაქრუას გაუელვა თავში ფიქრმა: მოდი, წავალ სოფელში და მუშა ხალხს ზაბასტოვკობას ვასწავლი. ჰამ საწყალი ხალხი მადლობელი დამრჩება, ჰამაც მამიჩემის ჯავრს ამოვიყრი. ის მა... მამაჩემი რო ამუშავებს მუქთად ხალხს და ჩემთვის კი გროშს არ იმეტებს, თუ არ მივამჟავე ლაზათიანად, მითომ რაო? მიუსიო ერთი ძაღლებივით ემუშა ხალხი! მაშინ წავიდეს და ირიკავოს“. ფიქრი და შესრულება ერთი იყო.

გაიგეს სოფელში, შაქრო მოსულაო და გაიძახოდენ: —მიხას ზურგი აჭქავებია და შვილიც მოჰსვლიაო. ხოლო შაქრო ორი-სამი დღის შემდეგ, გამოვიდა სასოფლოზე და დაუწყო ზოგიერთ ახალგაზდა ბიჭებს „ზაბასტოვკაზე“ და „ბოიკოტზე“ ლაპარაკი. ზოგს ჭკუაში მოსდიოდა მისი ახალი სწავლა, ზოგი-კი არ ეთანხმებოდა. „არა, თუ მე ოთხი აბაზისა და მანათის ნაცვლათ, რვა აბაზსა და ორ მანათს მოვითხოვ სამუშაოს პატრონისგან, ისიც ხო ჩემგან ორი მანათის მაგივრათ, კოდში ოთხ მანათს მომთხოვს და იქავე არ წავა? გიჟი ხომ არ იქნება ჭირნახულის პატრონი, რო ძვირათ დაუჯდეს კოდი და იმან-კი ერთი ორათ იაფათ გაყიდოს? მარტო სიავკაცე-ლა შეგვრჩება, სხვაკი არაფერი!“ „არა, თუ ჩემი თავი უჭირს ვისმე და არ დავეხმარები; მეც რო გამიჭირდება, არც მე დამეხმარება სხვა: მაშინ, რაღა ადამიანობა და ცხოვრება იქნება ჩვენი“? ასეთ პასუხებს აძლევდენ შაქრუას მისს ახალ სწავლა-განათლებაზე. მომეტებული ნაწილი სოფლელებისა-კი დასცინოდა: „თავზე წნელი მოუჭირეთ, ჭკუა არ დაეფანტოს„ —ო. ორიოდე ჯერ კიდეც გატყიპეს. ამის შემდეგ კი, ხელი აიღო სოფლელების სწავლა დარიგებაზე და დააპირა ისევ თფილისში დაბრუნება. მარა ამ დროს სოფელ გვემულში გაჩდენ ახალი მოძრაობის აგიტატორები, რომელთაცხელი შეუშალეს შაქრუას განზრახვის შესრულებაში.

მელანია.

(შემდეგი იქნება.)

ზამთარი.

აცივდა ყველგან, თეთრი სუდარა
მთების კალთებზე დადაეფინა;
გადინავარდა ქარმა მწვერვალზე,
ამბობ-ქრებით სოფელს დაგმინა.

მოწყდა ფოთოლი ხის მწვერვალიდან,
აწ უსულდგმულო და ფერ მიხდილი;
შეკრთა ყოველი, შევკრთი უნებურ,
თვალებმა იწყეს მწარეთ ქვითინი.

გულის სიღრმეში შორს ჩაწყდა სიმი...
ან-კი რა იყო სასიხარულო...
ყველგან ქვითინი, ისევე კენესა,
დასასრულისა სადაა ბოლო!?..

ა. ხაბულიანი.

მოლოზანი და მზე—ჭაბუკი.

ძალიან ბიყვარს ღამისა და დღის შეყრის წამი...

ინნიბალი ჯერ არც კია აწეული, რო გავეშურები ხოლმე ქალაქ გარეთ, ავდივარ სერზე და იქიდან ვუყურებ ცოცხალ სურათს დღე ღამის ტრფიალებისას...

ღამეს ვადარეფ ცხოვრებისგან განდგომილს მოლოზანს, რომელმაც არ აცის არც სიგიჟმაჟე, არც სიცილი, არც სიტკბოება ხორციელ ტრფობისა..

აი, ამ ღამე—მოლოზანს შეიყვარებს მზე—ჭაბუკი—განთიადი.. შეიყვარებს მზე—ჭაბუკი და გაუგზავნის უსტარს შუქურ ვარსკვლავის ხელით..

რა სატრფიალო სიტყვები არა სწერია შიგა..

წაიკითხავს მას, თუ არა მოლოზანი, ათრთოლდება შიშისგან... ათრთოლდება იგი მთელი თვისი ქალწულებრივი ბუნებით და გაფითრდება... ტუჩის ფერი დაეკარგება..

განთიადს უფრო უცხოველდება მისდამი ტრფობა..

იგი უხშირებს წერილების წერას...
მოლოზანს შიში ეუფლება...

მარა შიშთან რაღაც უჩვეული, გაურკვეველი გძნობებიც ეღვიძება...

თან და თან იდუმალი ძაფები ებმება მისსა და განთიადს შორის...

წუხს, როდესაც შუქურა დაუგვიანებს უსტარს. მარა საკმარისია გამოჩდეს შუქურა, რო მოლოზანმა შუბლი შეიკრას.... თავი მოიკატუნოს.... ეს ხო ქალების ნაცადი ხერხია... უბადლო იარაღია მამაკაცებთან ფიცხელ ბძოლაში...

აი, მთიებიც აახლა მზე—ჭაბუკმა...

აი, თვითაც ამოიხედა მთის მწვერვალიდან...

—ნუ, ნუ თრთი, გენაცვალე!.. ერთხელ, მხოლოთ ერთხელ მინდა შემოგხედო...

ვიშ, რა მომხიბლავი, რა წარმტაცი რამა ყოფილხარ...

ძვირფასო, ძვირფასო, წამოდი ჩემთან... წამოდი ჩემ სხივოსან ბურჯზე...

იქიდან გადმოვხედოთ ტურფა ბუნებას...

ნათელი სხივები ავაჩახჩახოთ გარემო..

წამოდი ჩემთან და შენ შეიქნები ქვეყნის თვალი... ყველა შენ დაგიწყებს ქებათა-ქებას... ფთოსანნი, ბგოსანნი, ქოსნი და მუტრიბნი-ყველანი ერთხმათ მოგიძღვნიან უიდუმალეს ჰანგების კონას...

ნუ, ნუ ნანოფ, გენაცვალე... ნუ...

რა არის აღთქმა... მოლოზნათ აღკვეცა...

ვით შეიძლება აქ, ამ წყვდიადში, ლოცვა - ღაღადი... წამოდი ჩემთან... წამოდი ბურჯზე,.. ღმერთი იქ არი, სადაც შრიალებს ტურფა წალკოტი.. სად კისკასობენ ნაკად—წყარონი... სად ხმა—ტკბილობენ ჩიორები..

ეს თალხი რაღაა?.

რომ არ გიხდება.

გადაიძრე... განიძარცვე ეგ სამოსელი... მე ჩემს სხივოსანს მანტიას წამოგასხამ, ოლონ დამყევი...

ღამე ისმენს ამას და თრთის...

იგი ხო ქალწულია, მორცხვი ქალწული, რომელსაც სიზმარშიაც—კი არ მიკარებია მზე- ჭაბუკი...

იგი მოლოზანიცაა...

მას ცოდვათა მკურნავი ხისგან უკვე

მიულია ფურცელი მოომინებისა, ყვავილი სიწმიდისა, დაუნაყია ფილსა შინა მდუნარებისასა, განუცრია საცრითა გულის ხმის ყოფისათა, შთაუყრია ჭურჭელთა სიმდაბლისათა, განუგრილებია მარხვითა და შეუსვამს კოვზითა სინანულისათა...

ახლი კი... ახლა... მზე—ჭაბუკი ურჩევს დაივიწყოს იგი... წაყვეს სიცოცხლისკენ... სიგიჟმაჟისკენ... სიტკბოებისკენ... რა ქმნას სიბრალომ?.. როგორ დაახწიოს თავი წმიდა აღთქმას, როგორ მოიშალოს ნირი საღმრთო მსახურებისა...

როგორ წაყვეს მზე—ჭაბუკს ლაჟვარდის ზოდებით ნაშენებ ბურჯზე... როგორ დაინთქას სიყვარულის სხივნარში... როგორ დაითროს გძნობიერების ბადაგით...

რა რიგათ, რა რიგათ იტანჯება... რა სასოებით ლოცულობს... ზენაარს იხმობს განარინოს მისგან აუგიანი ფიქრები, მიმადლოს მშვიდობა მსასოებელი.

რა რიგათ ტირის, რარიგათ ტირის... ესოდენი ცვარ ნამნი დილ-დილით რო ციმციმებს ყვავილთა ფოთლებზე, სულ მოლოზნის ცრემლებია...

მისი მწარ-ტკბილი ტანჯვის ცრემლები... სხვებს-კი გონიათ, ვითომც იგინი ვარსკვლავებს გამოეგზავნოთ ყვავილებისთვის ნიშნათ ტრფიალებისა, ბელგათ სიყვარულისა...

აბა, მოლოზანს, რა გაახდევინებს მზეჭაბუკთან ტანს! როგორ გამოაჩენს თვისს ქალწულებრივს ძუძუებს!..

მზე-ჭაბუკი თან და თან უახლოვდება..

აი, ამბორიც მოსტაცა...

— უი, დამიდგეს თვალები-შეკივლა მოლოზანმა და ხელის სმა დაიწყო იმადგილს, სადაც მზე-ჭაბუკმა აკოცა, თითქო სუროდეს სამუდამოთ ამოეშალოს კოცნის ნაკვალევი..

მზე-ჭაბუკი თამამია... მოლოზნის შეკრთომა, როგორ დააყრევინებს იარაღსა... თავს განგებ იკატუნებს და ევედრება პატიებას... უდიადესი შეცდომის მიტოვებას... მოლოზნებიც ხო მისთვის არსებობენ, რო მიუტევონ უგუნურთ, გაუწოდონ მოწყალების ხელი...

მზე ჭაბუკი უფრო თამამათ ეხვევა.. ეტმასნება სუროსავით....

ხელებს უყოფს ძუძუებში...

საწყალობელი მოლოზანი,.. საწყალობელი.

ახლა-კი წავიდა მისი საქმე..

როგორ იწურება სირცხვილისგან. ..

როგორ ეხვეწება, ეაჯება დაიფაროს იგი.. მარა... მარა... ძუძუები... ახ... ძუძუები... ღუპავენ... მზე-ჭაბუკმა შენიშნა სუსტი მხარე მიუვალი ციხე-კოშკისა და იქიდან მოუმატა იერიშს.. იგი ეკონება ძუძუებზე და კოცნის

კოცნის ისეთი გულისთქმით, რო მიცვალებულნიც ერკვევიან სიკვდილის ძილისგან და თრთიან ეშხით... მიცვალებულნი თრთიან და, ვით გაუძლოს მას, ხორციელმა მოლოზანმა... იგი ილურსება... იბნიდება გულის თქმისგან .. აი, აი, ულონოთ მიესვენა მზე-ჭაბუკის მკლავებზე... მზე-ჭაბუკი გაფაციცებით ხდის ტანისამოსს... შავს ტანისამოსს...

აი, გახადა თლა და...

ახ, რა მომჯადოებელი შვენებისა ყოფილა.

როგორა თრთის მისი ტანი... ატლასის ნაზი... უბიწოო.. ქალწული ტანი..

მზემ ჩაიხუტა იგი...

მზე-ჭაბუკი დააკვდა მისს მკერდს და...

ვარსკვლავები დადნენ... თლად დაილიენ ეშხისგან..

თვარეს უყურეთ!.. ბებრუხანა, კბილებ ჩაცვინულ თვარეს..

თვით ვერა გააწყორა... ვერ მოხიბლა მოლოზანი, თუმცა განუწყვეტლივ მასთან იყო და ახლა შეშურდა მზე-ჭაბუკის ბედნიერება.. გაყვითლდა... ღრიანკალს დაემსგავსა და მალე დაიკარგა ნისლებში...

მზ მ რო გული იჯერა ტრფიალებით-წამოასხა ნამოლოზნარს ბადახშანი ლალით მოქარგული მანტია და გაიტაცა ოქროს ბურჯისკენ..

მთელი ბუნება ექსტაზში მოვიდა.. ფოთლებმა ტაში დაუკრეს გამარჯვებულს მზე-ჭაბუკს. ფთოსნები მაყრიონათ გადიქცენ და ცაში კასკასით აიჭრენ, რო ყველასთვის ეცნობებიათ მეფიონის მოახლოვება..

აი, რა ხდება ხოლმე გარიჟრაჟისას...
მოდი და ნუ შეიყვარეფ ამ უცხო დროსა''

დაბა შუმსკი. 13 იანვ. 1916 წ.

დ. თურდოსპირელი.

მზის მოლოცვა.

ჩემ სამშობლოს დღეს ციდან მზემ
შვების სხივი კონათ სტყორცნა,
უთხრა: აღზდექ, გმირთა გმირო,
მსურს მოგიძღვნა ჯილდოთ კოცნა...
— და დაკოცნა.
შენ ხო წალკოტს გიწოდებენ,
გულ მკერდს გიმკობს ყვავილები.
მაშ, რათ სდუმხარ: ხო კიდევ გყავს
გმირთა გმირი შენ შვილები?
—მითხარ, რისთვის იკრემლები,
იქნებ, მისთვის, რო შენს სივრცეს
დღეს უმანკოთ კრემლი ფარავს,
აწ შენ ჯერეთ ნორჩსა შვილებს,
რო ხოკავენ უცხოთ კარავს?
—არა, ეგ შენ ნუ შეგზარავს.
დდეს მე მოველ და გილოცავთ,
რო სულ სხვა გაქვთ მომავალი...
თქვენ მაგ ტანჯვით მოიხადეთ
მამაპაპის ძველი ვალი.
—ეგ ტანჯვაა წარმავალი.

ქ. გორი. ობოლი მწყემსი.

შემოდგომაა.

შემოდგომაა და ცივი ქარი
ავი სულივით დაისისინებს,
ველს არ შორდება ცის კრემლთა ცვარი
და მთის ნაკადი მწარეთ ქვრითინებს...

——

შემოდგომაა და კვნესით ცვივა
ხეებს ფოთოლი, დამზრალ-დამჭკნარი
და ვერან ბაღში ყვავილთ საფლავზე
მხოლოთ ველურათ ხითხითებს ქარი!..

——

შემოდგომაა!.. ცვივა ფოთოლი,
ჭკნება წალკოტი ფერთა კრთომითა
და კვნესის მხარე, მხარე ობოლი,
დაუსრულებელ შემოდგომითა!..
და სევდის სიო, სიო გძნეული,
გძნობის მყინავათ შემოჩვეული,
ეუფლება
გულს!..
ცრემლი ეული,
ნაღვლიან თვალით გადმოთხეული
ეპკურება
წყლულს!..
და ტირის ზეცა, ტირის მიწაცა,
ყველგან გაისმის გლოვა და ზარი.
და დღე ახალი-ახალ სევდას შობს:
დღეს შემოდგომა, ხვალ-კი ზამთარი,—
და, აღარ ვიცი, სად არი, სადა,
სამშობლოვ, შენი ტანჯვის საზღვარი!..

ილ. გოგია.

ჩემი ჯორი.

(მოგონება)

მე მინდა ჩემი კრებულში (ღვდელ მთავრებთან სამსახურში) მყოფობის დროს ნახული შემთხვევები მოვიგონო და გავუზიარო მკითხველს, რომელნიც, როგორც ვფიქრობ, არ არის ინტერესს მოკლებული, რათგან ზოგი გაგვართობს, ზოგი ცხოვრებას დაგვაკვირვებს და ზოგიც წინანდელ ჩვეულებასაც მოგვაგონებს.

კრებულში სამსახური, გარდა წირვა-ლოცვის დროს სამსახურისა, ეპარქიის სხვა და სხვა სოფლებში მუდმივ მოგზაურობის აღიარქოთს შეადგენდა. შეძლებული ოჯახის წევრი, როცა გადაიცვლებოდა, თავადი იყო იგი, თუ აზნაური, საღვდელო, თუ გლეხი, უთუოთ ღვდელთმთავარს მიიწვევდა. უამისოთ ოჯახი იძრახებოდა. რასაკვირველია ამასთან რელიგიური რწმენაც ადასტურებდა ამ ჩვეულებას. ამიტომაც, ღვდელთმთავარი, და მისი კრებული, თითქმის მუდამ გზაზე იდგა. ხანდახან, თვეც გაივლიდა ისე, რო სახლში ვერ დავბრუნდებოდით. ასე ხშირი მოგზაურო-

ბისთვის, უსათუოდ, ცხენი და ჯორი იყო საჭირო და თითოეულ კრებულთაგანსაც, ან ცხენი ყავდა, ან ჯორი, მარა უმეტესობას ჯორი ყავდა, რათგან ჯორს მეტი ჯაფის ატანა შეუძლია და ადვილი შესანახავიც არი.

მეც მყავდა ერთი ჯორი. საუბედუროთ, მეტი ხედნისგან მეტათ დამჭლეედა და ერთს ვითომ მისანდობ კაცს გასასუქებლათ მივაბარე (მთის კაცი იყო). ერთი თვის მერე ამბავი ჩამომიტანა: შენი ჯორი მგელმა შეჭამაო. თქვენს მტერს იმისანა მეხი დაეცა, რაც მე! ფიქრებში გართულს, რო ჩემი ჯორი ღარ-დასმული ჩამომივა—მეთქი, მგლის არჩივი გამხდარიყო. დავრჩი უჯოროთ. ყოველ დღე ცხენის ქირაობა ჩემთვის ზარალი იყო. ავიღე ჯამაგირი, მივუმატე ნასესხებიც და მარტკილიდან (სადაც მე ვმსახურებდი) გავსწიე ლეჩხუმს, სადაც 14 ენკენისთვეს დღესასწაული და ბაზრობა ოციან. შეღამებული იყო, როცა იქ მივედი. მონასტრის ახლოს, დუქნის წინ, ლამპრით გაჩაღებულ აივანზე თავის შესაქცევათ ხალხს მრავლათ თავი მეყარა. გალობის და სიცილი-ხარხარის ხმა შემომესმა. მე აივანზე ავედი. ჩემი შესვლა და იქით-აქიდან შამოძახება ერთი შეიქნა: ოოო! გალობელი მოვიდა, გალობელიო. აქ ოთხი, ხუთი თავადები: ფაღავები და ჩიქვანები იყვენ მეგრელიიდან და ისე ლეჩხუმიდანაც. გარეშე მაყურებელიც მრავალი. თ. ბეგლარ ფაღავამ უთხრა იქ მყოფ გალობლებს: რო თავი წაგვჭამე ტრაბახობით, თუ კაი მგალობლები ხართ, ახლა თქვით ამ "მეგრელ„ მგალობელთანო. ეს დაქადილი მე მეწყინა. მარა მაინც გავჩუმდი. მგალობლებმა ამხედ დამხედეს და მაინც და მაინც არაფრათ ჩამაგდეს. *) სიიამამე არ დაკარგეს და, აბა, დაგვიწყე, ყმაწვილოო, მოთხრეს. მევუთხარი: მასე არ ივარგებს, დავეკითხოთ ერთმანეთს, რა უნდა ვთქვათ, თორე, რო მარცხი მოხდეს და ისეთი გალობა დავიწყო, თქვენ არ იცოდეთ, არ გიამებათ-მთქი.

მეგრელ თავადებს სიცილი აუტყდათ და იმათ-კი მეტათ იწყინეს ჩემი გულ უბრყვილო შენიშვნა. ეს ტრაბახობაოო. ნუთუ შენ იტყვი და ჩვენ-კი ვერაო?! მე მაინც ვთხოვე, რომ უწინ იმათ დაეწყოთ.-და შენ-კი აღარ გკითხოთ, რა დავიწყოთ! არა, ასე ინებეთ მეთქი. დამიწყეს ძ-ლიან თავმომწონეთ: შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული. ეს გალობა ისეთია, რომ იმ დროს ყველა მცირედ მცოდნე მგალობელთა კუთვნილებას შეადგენდა; თითქმის ყველამ იცოდა და ახლა შენ დაგვიწყე, ყმაწვილო. მე ვუთხარი ხვალ ჯვარ ამაღლებ. არი და, თუ თქვენი ნება იქნება, ხვალინდელი სძლის პირები ვთქვათ-მეთქი. (მთელი წლის განმავლობაში, რაც დღესასწაულებია, ყველაზე უფრო ძნელია ამ დღის საგალობლები). მითხრეს: მართლაც, რო შესაფერია, რომ ამ დღის გალობები ვთქვათო.მარა, ყურები დაგვიწევია, რომ ამ დღეს არც ერთი გალობა არ ვიცითო. ასე მალე დაყარეს იარაღი. ამის მერე თვითონაც ბევრი იცინეს და.. ჩვენც ყველამ ერთათ. ძალიან დარბაისელი ყმაწვილები იყვენ ის მგალობლები, როგორც სიტყვა პასუხით, ისე შესახედავათაც. როგორც მახსოვს, ერთი იმათგანი უგრეხელიძე იყო, გვარათ. მის მერე, ჩვენ დავმეგობრდით, ჩემი გაცნობით ძალიან ისიამოვნეს და, მართლაც, მრავალი გალობა ვთქვით იქ.

ბოდიშს ვიხდი, რო ჩემი ჯორის ამბავი კინაღამ გადამავიწყდა. მეორე დღეს (ბაზრობა აქვე იცოდენ) ჩამოიყვანა ვიღაც რაჭველმა გასაყიდი ჯორი. საშვალო ტანის, ძალიანი სუქანი, ლამაზი და კარგი მატარებელიც.. მომეწონა. დიდი ვაჭრობის მერე, რვა თუმნათ. გავრიგდით. ბაზრის მართველთან ნაყიდობა დამიწერა, ჯორი ჯოხზე გადამირონია, ბაწარი ამოიღო, უნდა თავზე დააბას და მომცეს. ლაგამის წაღება მოინდომა, რომელიც ჯორს ქონდა. მე ვუთხარი: ააა! თუ ლაგამი წააძვრე და წაიღე, მე ეგ ჯორი არ მინდა-მეთქი. ძალიან შორს დაიჭირა. მარა, როგორც იყო, დათანხმდა, ლაგმიანა მომცა. თურმე, ქირა

---

*) ამ დროს, ასეთ შესაკრებელ ადგილზე, გალობა დიდ სასიამოვნო გასართობათ ითვლებოდა და გალობელი, თუ ერთი მეორეს ისეთ გალობას დაუწყებდა, რო მეორეს არ ეცოდინებოდა, დიდ სირცხვილათ ითვლებოდა მისთვის, ვისაც არ ეცოდინებოდა. რ. ხ.

რო მიმეცა, ლაგამს არ წააძრობდა. სიმიდი ვიყიდე და ცოტა ბაზრის მოშორებით დავუდგი და ლაგამი წავყარე. მარა იმისანა თქვენს მტერს: ვიიო! ერთი შეჭყვირა, მომიბრუნდა და ორივე ფეხებით წიხლები მომაყარა! გავასწარი, თორე სულს გამაგდებიებდა. თურმე, როცა ლაგამი ედვა, არაფერს იუკულმართებდა და, როცა წაყრიდი, სულ ვიი, ვიიო იძახოდა და უკანა ფეხებს მაღლა სროლილობდა. თქვენ მტერს იმისანა ელდა ეცა, რაც მე მაშინ! ჰირის შესაჭმელმა, სიმიდი ისე შეჭამა, რო ვიი, ვიი და უკანა ფეხების მაღლა სროლ. არ გაუწყნარებია. სიმიდს ტუჩს არ აშორებდ. და უკანალს წიხლების სროლით, ხან იქით ატრიალებდა და ხან-აქით. გაათავა ჭამა და, როგორც იქნა, შეჩერდა. ვშინჯე ახლოს მისვლა. მარა, თქვენც არ მომიკვდეთ! ჰყვირის ეს შეჩვენებული და წიხლებს ჩემკენ სროლილობს. რა არ ვეფერე, რა არ ვუწრუპუნე, რა კოკი, კოკი არ ვუძახე. მარა არას გზით არ მიმიკარა. ვიფიქრე: ვკრავ თოფს და მოვკლავ-მეთქი. მარა ესეც ვერ გადავწყვიტე. ვითამ იმედი არ დავკარგე, ეგებ მიმიჩვიოს-მეთქი. მერე, დიდი ტანჯვა წვალებით ლაგამი აუდევი, როგორც იქნა. ღმერთმა ყველაფერი კარგი მოგცეთ, ეს ლაგამი იმას მოუხდა. სრულიათ დამშვიდდა... გადუსვი გავაზე ხელი, აბა, ფეხებზე, კუდზე, მარა კრინს არ იღებს. თურმე, ლაგამის ადებამდი ყოვლათ წაწყმედილი ეშმაკი ყოფილა, ლაგამში-კი ყოვლათ მშვიდი და პატიოსანი...

როცა სოფლათ დავდიოდით და კრებულის ცხენებს ერთ სახლში ბინას მიუჩენდენ ზამთრობით, თქვენს მტერს ისეთი, რასაც კრებულის ცხენებს ის დღეს დააყენებდა. საღაც მუხურში დავაბამდი, დავუყრიდი თივას და წავიდოდი და ასე ყველა ჩემი ამხანაგები თავ-თავის ცხენებს. ჩემი ჯორი, უთუოდ, აიწყვეტდა და ყველა ცხენებს ააწყვეტიებდა. ერთ მუხურში შირეკდა წიხლების ხათქა ხუთქით და ყველა ცხენების არჩიევს თვითონ შეეტეოდა მთელ ღამეს. მარა, სამაგიეროთ, ხან დახან, როცა მე დამეძინებოდა, ამხანაგები კეტით მიდვრათ გამოდენიდენ და მთელი ღამე ბევრჯელ თოვლში დარჩენილა...

ბევრ უსიამოვნებასან, ჩემმა ჯორმა ძალიან სახსოვარი დამავალა. სიკვდილს გადამარჩინა. ერთხელ, კულაშს ვიყავი სადღესასწაულოთ ახალკვირეზე. სადილათ თ. გვადა მიქელაძისას ვიყავით მრავალი ახალგაზდა ყმაწვილები და ისე სტუმრებიც. იქ მყოფმა ექვსიოდე ყმაწვილმა პირობა დავდევით, მეორე დღეს, ორშაბათს ადრე ბანძას უნდა წავსულიყავით, სადაც დღესაწაული იციან. მე-კი წირვაზე უნდა მიმესწრო, რათგან ეპისკოპოზი იყო იქ მწირველი. გათენდა ორშაბათიც. წამოვედით ყველა ერთათ. გზაზე სხვებიც შამოგვიერთდენ და ასე 25 ცხენოსანი მივადექით ცხენის წყალს. პაროში შორს, 16 ვერსზე იყო. ფონზე გასვლით-კი ძალიან მოკლე გზა გვქონდა. ცხენის წყალი ძალიან შორს იყო მოფანტული და მეტათ მღვრიე, მთის ნამქრით ადიდებული.

გადაწყვიტეს პირდაპირ წყალში გასვლა. მე არ დავეთანხმე, ჯორს ვერ ვენდვე და პაროსკენ გავწიე. სად მიხვალო, მითხრეს. შამომირბინეს ცხენებით და არ გამიშვეს. რა გაშინებს, კაცო? ჩვენ ცხენოსნები შვაში ჩაგიყენებთ, სულ ზედაზე დაგიჭერთ და ისე გაგი ყვანთო. აღარ დამიჯერეს. ჩამიგდეს შვაში და ყველა ერთად ჩავედით წყალში. ჩასვლა თუ არა, ჩემმა ჯორმა და მე ერთათ ყვრიალი გავაყენეთ უშველებელ სიღრმეში! სანამ ფეხს დაუწევდა ჯორი, ძირს დაბლა მივდიოდით საჯენ ნახევრის სიმაღლეზე. როცა ფეხი უწია, დაკრა შძლავრათ ფეხი და წყალს ზევით ამოვარდა. ყურებში წყალი ჩაუვიდა და ერთი მაგრათ გააპარტყუნა ყურები და ფრუტუნი დაიწყო ცხვირით. ჯორი ყურებისა და ცხვირის მეტი აღარ ჩთა. წყალმა ფეხები წაართვა და ახლა ფარგასავით წყალზე მოტივტივდა. მაისც მიფრუტუნობს და მიცურავს. თქვენს მტერს ისეთი შიში მიეცა, მე გავფთხალდი და შევშინდი... მარ ჯვენა ფეხიც აბჟანდში გამომივარდა, მარტო მარცხენა ფეხი შემრჩ. ააბჟანდში, და ფერდებით წყალზე გაწოლილ ჯორს გვერდზე ვაზივარ და პირდაპირ თავზე ვუყურებ ჯორს,

რათგან მეტი არაფერი უჩანს. გაგონილი მქონდა: წყალს თუ დააჩერდი, თვალი აგიჭრელდება და გადავარდებიო. მეც ამ ტაკტიკას დავადექი. რამდენიმე წამის მერე, შემეწია ღმერთი და უწია ჯორმა მიწაზე ფეხი; მარა ამის იქით ჯორი აღარ გაქანდა. წყალი—კი სილას აცლიდა ფეხ ქვეშ ჯორს და ეკეცებოდა წყალში. არც შემეძლო გადახტომა და გასვლა, რათგან თლად დასველებული ვიყავი, თუმცა წყალი კაცზე უმაღლესი აღარ იყო.

მათრახის დიდი ცემით, როგორც იყო გავრეკე. გავედი გაღმა. ახლა—კი მომაგონდა ჩემი გმირი ამხანაგები, რომელნიც თვით მე გადარჩენას მპირდებოდენ. თქვენ მტერს იმისანა! ესბედაური ცხენები, ზოგი ისევ გაღმა გაეგდო წყალს, ზოგი ერთი ვერსის სიშორეზე საღაცა დაბლა, გამოღმით გამოეგდო. ზოგი კიდევ სადებში ჩაეგდო და იქ დგაშუნობდა. მადლობა ღმერთს, რომ არავინ დამხჩვალა და განსაცდელი და გასაჭირი ყველამ უზომო გამოვიარეთ.

ამის მერე, ეს ჯორი შემიყვარდა და მის უკულმართობას, ლაგამის ადებამდი, ყოველთვის ვითმენდი, რათგან მერე მშვიდი იყო.

რ. საჯავახოელი.

ბარათი.

(ობოდ მუშას).

და ის ბარათი, ეჰ, მეგობარო,
რომელსაც მწერდი გულით, თამამად,
მივიღე ისე, ვითა ფსალმუნი,
დამეთახმები, ამაზე თავად.
წამს გამიტაცა ბუნებრივ ძალამ,
ლაჟვარდ სივრცეში მითხრეს მე ნანა.
სულის ობლობა, შემისუბუქეს,
და მსურდა იმწამს მოსვლა შენთანა...
მარა ოხ, ძმაო, ის სინამდვილე,
„კედელი“, „კლიტე“ და ცივი ხუნდი,
არა, თუ ცხადათ მოსვლა შანდ შენთან,
ოცნების გზიდან ცრემლით დავბრუნდი...
და სასო-მიხდილს, ფთებ დამსხვრეულსა,
თვალ წინ დამიდგა ცოცხალთ სამარე—
—უსამართლობა, ცხოვრება ბრუნდი...
მწარე ღიმილით უკან დავბრუნდი.

კ. მიმქრალი.

ბძოლა-იმედი.

ხმალს ნუ დაუშვებთ, ჩაგრულნო!
ნუ გადაიწყვეტთ იმედსა;
საცაა სხივი შუქ მფენი
ბნელს გადააცლის რიდესა...
გამხნევდით, მარად იფხიზლეთ,
ბოროტს დაუხვდით მედგრათა,
უსამართლობას, სიფლიდეს
თავზე დაატყდით მეხათა.
იფხიზლ-იბძოლეთ, სანამდი
შეგწევთ ღონე და ძალია;
აენთეთ ცეცხლებ, ბოროტებს
გულს დააძგერეთ ხმალია.
როცა ბოროტი გაქრება,
გაყვება მის კვალს ტანჯვაცა:
სამოთხეთ გადაიქცევა
დაბლა ქვეყანა, მაღლა ცა.
არ გძლიოთ ბძოლის სიძნელემ,
არ გაიტეხოთ გულია;
იბძოლეთ, ბძოლას მოყვება
საამო გაზაფხულია.

გ. ლადოშვილი.

ილია ლუკას ძე ბახტაძე (ილ. ხონელი),

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. *)

ჩვენ განვიძახეთ სისწორით აღვწეროდ ცხოვრება და მოღვაწეობა პუბლიცისტის ილ. ხონელისა.

*) ამ წერილს ვათავსებთ ჩვენი ჟურნალის კრიტიკის განყოფილებაში.

„ცხოვრების“ რედაქციამ განსაკუთრებულის თხოვნით მიმართა ბატ. ლუკა ლუკასძე ბახტაძეს დაეწერა მას-. თვისი უნიჭიერესი ძმის-ილ. ხონელის ცხოვრება და მოღვაწე-

დაკარგვა ისეთი გამბედავის, გულწრფელის და უანგარო მოღვაწისა, როგორიც იყო ილ. ხონელი, უფრო საგძნობელი არის ამ დროს, როდესაც ჩვენ მწერლობაში იშვიათად შეხვდებით მისებ მედგარს და ჭეშმარიტი ტალანტით დაჯილდოებულ მწერალს.

მისი დაკარგვა, იმდენათ საგძნობელია დღესაც, რო ყოველთვის, როდესაც ჩვენ ცხოვრებაში რომელიმე საკითხი აღიძვრება, რომლის დაცვა და გარდაწყვეტა მოითხოვს მოურიდებლობას, სულის სიმტკიცეს და გამბედაობას, უნებლიეთ გაიხსენებთ ილ. ხონელს.

ვის არ ახსოვს მაღალი, კეთილშობილურ მამულის შვილობით აგზნებული მისი წერილები, როდესაც ბნელი ძალები იერიშებით მოდოდენ ჩვენ ისტორიულ წარსულზე, ჩვენს აწიყმოსა და მომავალზე! რა ძლიერებით, რიხითდა თავ-დავიწყებით გაილაშკრებდა განსვენებული ასეთი ვაჟ-ბატონების წინაღმდეგ!

ისიც უნდა ვთქვათ, ძნელათ გამოყობოდენ ხონელს პოლემიკაში მისი მოპირდაპირენი, რათგან საშიში იყო მასთან კამათობა. კალამს გამწარებით ხმარობდა, როგორც ძლიერი მეომარი-ბასრ მახვილს და ამას დაუმატეთ სამართებელსავით მჭრელი ირონიით სავსე კილო, რომლითაც აქარწყლებდა და ანადგურებდა მოპირდაპირეს, იგი არ მოეშვებოდა მოკამათეს, სანამ იარაღს არ დააყრევინებდა. საში-

ობა ჩვენი ჟურნალისთვის ავტორმა ზედ. მიწევნით შეასრულა დაკისრებული საქმე, რისთვისაც მას რედაქცია დიდ მადლობას მოახსენებს.

ავტორი გვწერს:,, რაც დავწერე, ზოგის მოწამე მე ვარ, ზოგიც მისგან (ილიკოსგან) გამიგონია. შიგ რაფერი წერია, რომართალი არ იყვეს ტყვილს როგორ გავბედავ. ჯერკიდევ ყველა ცოცხალია, ვისთანაც ილიკოს საქმე ქონდაო.

მკითხველიც კარგათ შეატყობს, რომ ეს იშვიათი, სალი ტერატურო მოგონებანი ისეთი აპრიალებული-ცოცხალი და მგზნებარე ქართული ენით არი დაწერილი, რომ იგი, ვფიქრობთ, შენიშვნებსაც გამოწვევს ქართულ პრესაში. ჩვენ ამ შენიშვნებს სიამოვნებით მივცემთ ადგილს, თუ, რა თქმა უნდა, ისინი მართებული კილოთი, ნიჭიერათ და გულწრფელობითაც იქნებიან დაწერილი.

რედ.

ში იყო ილ. ხონელი, თვისი პიროვნებითაც, რათგან თვით მასზე, მის პიროვნებაზე, აბეზარ მოსულ მტერსაც არ შეეძლო რამე ცუდი ეთქვა, ან ეჭვი შეეტანა მის პატიოსნებაზე და ამ პირად თვისებებს უნდა მივაწეროთ-დიდი ის გავლენა, რომელიც ქონდა მის ნაწერებს მკითხველ საზოგადოებაზე. ყოველი მისი-ნაწერი ერთ უშველებელ ალიაქოთს, მითქმა-მოთქმას იწვევდა ხოლმე საზოგადოებაში. მწერლობის ნიჭი ილ. ხონელს ადრიანათ გაეღვიძა, როდესაც ჯერ კიდევ სამოსწავლო მაგიდას უჯდა.

მისმა წერილებმა სერგეი მესხის „დროებაში“ ქუთაისის გიმნაზიის წესწყობილებაზე და გიმნაზიის დირეკტორ ლევანდაზე, საზოგადოების დიდი ყურათღება მიიზიდა. გიმნაზიის მთავრობამ ბალე მიაგნო ნორჩ ავტორს. ილ. ხონელი პირველ შეგირდათ ითვლებოდა გიმნაზიაში, რომლის მთავრობა ყოველ წელს აჯილდოებდა ნიჭიერ შეგირდს „ქების ფურცელით“, მიკროსკოპებით და მოვარ-აყებულ ყდიან წიგნებით ბავშის თავ მოყვარეობისთვის საგძნობელ წარწერებით. ამ-წერილებმა დიდი შედეგი იქონიეს ილ. ხონელის მომავალზე. ახალ გაზდა ილიკო გიმნაზიის მთავრობამ და, განსაკუთრებით, მისმა დირეკტორმა ლევანდამ, იძულებული გახადეს დაეტოვებინა სასწავლებელი. ლევანდა, გიმნაზიის დირეკტორათ განწესებამდი, ქ. სოხუმში მსახურობდა ადმინისტრატიულ უწყებაში. იქიდან იგი ვილაც გავლენიან ქალბატონის პროტეკციით გადმოყვანილ იქნა პირდაპირ გიმნაზიის დირეკტორათ. ამ ლევანდამ ბევრ ნიჭიერ ყმაწვილს აუბნია გზა. ახალგაზდა ილ. ხონელი უკანასკნელ კლასში იყო, როდესაც გიმნაზიას თავი დაანება. ის ამ დროს ერთ საუკეთესო გონება გავითარებულ ყმაწვილათ ითვლებოდა ქუთაისში. იმას თითქმის ყველა წიგნები გადაკითხული ქონდა ივანოვის სეულ ბიბლიოტეკის, რომელიც იმ დროს ანტონ ლორთქიფანიძეს ეჭირა ქუთაისში. ილია მალე პეტროგრადს გაემგზავრა, სადაც უნივერსიტეტში შევიდა თავისუფალ მსმენელათ. კურსის დამთავრების შემდეგ, კიდევ რამდენიმე წელიწადი დარჩა პეტ-

როგრადს, სადაც თანამედროვე ლიტერატურის შესწავლას ენერგიულათ მიყო ხელი.

ამ დროიდან იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობაც. ჯერ კიდევ პეტროგრადში მყოფობის დროს, დაბეჭდა რამდენიმე წერილი სტასულევიჩის გაზ. ''პორიადოკში,, გელათის გაცარცვის შესახებ.

ავტორი თხოულობდა ფიცხელ გამოძიებას. წერილები მკაცრი და გესლიანი კილოთი იყო დაწერილი, ასე რომ უნებლიეთ მიიპყრეს მთელი საქართველოს ყურათღება.

ეს ის დრო იყო, როდესაც ამ გვარ საგანზე ლაპარაკი დიდ გმირობას და პასუხის გებას მოითხოვდა მწერლიდან. გაბრიელმა ქუთაისის ეკლესიის კათედრიდან გასცა პასუხი წერილების ავტორს. მარა მის პასუხში, წყევლა-კრეულვის მეტი არაფერი იყო წერილების ავტორისადმი. უმთავრეს საგანს-კი ეპ. გაბრიელმა მორიდებით გვერდი აუარა თავის სიტყვაში...

ილ. ხონელი პეტროგრადში დრო გამოშვებით წერილებს ბეჭდავდა, როგორც ზევით ავნიშნე ''პარიადოკში,, და პოლონსკის გაზ. ,,სტრანაში'' ილ. ხონელი ჯერ კიდევ პეტროგრადში იმყოფებოდა, როდესაც მეფე ალექსანდრე 2 სხვერპლი შეიქნა რუსთა ტერორისტებისა. მეფის დაკრძალვაზე დასასწრებლათ, დიდი იმპერიის ყოველ მხრიდან წავიდენ დეპუტატები. საქართველოს თავად-აზნაურობამაც გაგზავნა დელეგატები.

მეფის დაკრძალვის შემდეგ, ახალმა ხელმწიფემ წყალობები გასცა.

პოლონეთის თავად-აზნაურობის დეპუტატებმა ისარგებლეს შემთხვევით და მთავრობას პოლონეთის სკოლებში სამშობლო ენის შემოღება თხოვეს. ჩვენმა დეპუტატებმა-კი, ალმასხან ნიჯარაძემ, დავით წულუკიძემ და სხვებმა, ჩოხებზე დასაკერავი ვენზილები ითხოვეს ,,ნიშნათ კავკასიის დაპყრობისა"!...

შეასრულეს რა პირნათლათ ქვეყნისადმი თავიანთი მისია, ჩვენი დეპუტატები ჩამობძანდენ სამშობლოში, სამშობლოს სახელით მოპოვებული უმნიშველო ვენზილებით (ვენზილი ნიშანია) შემკულნი და ნიშნ-მოგებით აყვედრებდენ ამომრჩეველებს: დიდი სქმე შევასრულეთ, ჩვენი გამგზავრებით საქართველო შევახსენეთ დიდ ხელმწიფესო...

ერთი კვირაც არ გასულა, გაზ. „დროებაში„ პეტერბურგიდან დაიბეჭდა ფელეტონი ალია ბახტაძის ხელ მოწერილი. ფელეტონში აწერილი იყვენ საქართველოს დეპუტატები და, კერძოთ, ქუთაისის თავად-აზნაურობისა. სტატია ისეთი ხელოვნებით და ტალანტით, ისეთი ირონიით იყო დაწერილი, რო დღესაც სიცილს ვერ იკავებ, როცა კითხულობ ჩვენი ჩიტი რეკია დეპუტატების თავ-გადასავალს... და ადვილი წარმოსადგენია, როგორი ჩაბეჭდილებას მოახდენდა იგი მაშინ დეპუტატებზე, მათ ამომრჩეველებზე და მკითხველ საზოგადობაზე.

საბრალო და სასაცილო იყო ჩვენი დეპუტატების მდგომარეობა. ყველა მათ გზაზე აჩერებდა და კითხავდა: ნუ თუ მართალია, თქვენო ბწყინვალეებავ, რასაც გაზ. "დროებაში,, იწერებიან პეტერბურგიდანო. დეპუტატები თავს იმართლებდენ. ბოლოს, გარდაწყვეტეს, ხანგძლივ თათბირის შემდეგ, პასუხის გაცემა. მარა სასაცილო უფრო ის იყო, რო გუბერნიის მარშალმა ალმასხან ნიჯარაძემ წერა სრულებით არ იცოდა.

ბწყინვალე თავადს დიდი გაჭირვებით შეეძლო მხოლოთ თვისი სახელის და გვარის მოწე-

რა. ქართულ ენის ალფავიტში ის ასოები იკოდა, რომელნიც მისთვის საჭირო იყო თვისი წოდების, სახელის და გვარის გამოსახატავათ, იმათაც უხერხულათ დასვამდა ქაღალდზე, ყველა ზურგ შექცეულნი იყვენ, გეგონებოდათ, ერთმანეთზე გაბუტულნი არიანო.

ამისგამო, ახალგაზდა ავტორის პასუხის გაცემა დავით წულუკიძემ იდვა თავს.

თ. დავითის „პასუხი'' იწყებოდა რუსთველის სიტყვებით:'' კოკასაშინა, რაცა დგას, იგივე წარმოდინდების,, და ამავე სიტყვებით თავდებოდა. დაბეჭდამდი თ. დავითმა იგი წაუკითხა თავის მეგობრებს და, მათ შორის, ალმასხან ნიჯარაძესაც. ალმასხანს ძალიან მოეწონა დავითის კალმის ხმარება: შენ-„ნუ ომი კვდები საუცხოვოთ, გაგიწკეპლავს ის ბალღიო„' ეთქვა დავითისთვის. ერთ კვირა დღეს დ. წულუკიძე ჩამოვიდა სოფ. საწულკიძოდან დ. ხონს და ნაწირვებს, ეკლესიის წინ შეკრებილ ხალხს წაუკითხა ''დროებაში,, დასტამბული ''პასუხი,,, "განმარტებით": "ჩვენ საქართველოს თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი გამოგვიხმეს პეტერბურგს ხელმწიფის დაკრძალვაზე დასასწრებლათ. გვეგონა, პირნათლათ შევასრულეთ საზოგადოების მონდობილება. ჩვენი მეცადინობით წყალობაც-კი გამოუვიდა ქართველ ხალხს. და ლუკა ღვდლის შვილი მოგვდგომია და თავზე ლაფს გვასხამსო."

ამ დროს ილია ხონელის მამაც გამოვიდა ეკლესიიდან, სადაც იგი იმ დღეს მწირველი იყო. მიუახლოვდა დ. წულუკიძეს, რომელსაც დიდ პატივს სცემდა და, რომელთანაც მეგობრული განწყობილებაც ქონდა და ჩვეულებრივ მიესალმა. მან არ იცოდა, თვისი პასუხი რო წაუკითხა თ. დავით წულუკიძემ თავმოყრილ ხალხს.

დავით წულუკიძემ მისალმების შემდეგ, საყვედურებით მიმართა მამა ლუკას: „ამას არ მოველოდი", მამაო,თქვენი შვილისგან: მარა, რაც მოუვიდა, თავის თავს დააბრალოს. თქვენ შვილს ეგონა,ჩვენ პასუხს ვერ გავცემდით. აი, პასუხიო და უჩვენა გაზ. „დროების" ნუმერი, რომელშიაც იყო მოთავსებული მისი წერილი.

ილიკოს მამას ძალიან ეწყინა თავ. დავითის საყვედურები და ილიკოსგან დავითის წყენაც. მარა ჩვეულებრივი აუჩქარებელი კილოთი უთხრა მეგობარს: ჩემმა შვილმა, თუ უმართებულოთ მოგიხსენიათ თქვენ და თქვენი ამხანაგები, თქვენ უფრო სიდინჯე გმართებდათ, დავით ივანიჩ! და არ უნდა აყოლოდით ბავშს. იგი თქვენ წერილს უპასუხოთ არ დატოვებს და ატყდება უსიამოვნება. ჭკვიანი კაცი რისთვის აყევით ბავშს, წყენის კილოთი უთხრა დავითს და თან დაუმატა:, გლახათ გინებებიათ, დავით ივანიჩ, გლახათ". გააპო ხალხი და წავიდა პირდაპირ სახლში.

მართლაც, არ გასულა ორი კვირა, პეტერბურგიდან ილ. ბახტაძის პასუხი მოვიდა თავ. დავითის წერილზე. პასუხი ისეთი სახუმრო და მოურიდებელი კილოთი იყო დაწერილი, რო ქუთაისში*) და ხონში ქუჩაში კაცს ვერ შეხვდებოდით, ვინც-კი კითხვა იცოდა, რომ იმ სტატიაზე არ ჩამოეგდო მუსაიფი და ჩვენი დეპუტატები სისაცილოთ არ აეგდო.

დაირცხვინეს დეპუტატებმაც და ერთხანარსად ჩდებოდენ. უსიამოვნებაც მოუვიდათ ურთიერთ შორის: ალმასხანი დავითს აბრალებდა, დავითის ბრალია ილია ბახტაძისთვის პასუხის გაცემა, მე თავიდან წინაალმდეგი ვიყავი, როგორ დაგვღუპა ამ კაცმა, ძირიან ფესვიანა მოათხრევია ჩვენი თავი, ხალხში თავს ვერ გამოვყოფთ, ესაყვედურებოდა თავ. ალმასხანი თ. დავით წულუკიძეს. ილიას მამა ძალიან შეწუხებული იყო თავის მეგობრის წყენით და ყოველთვის კითხულობდა, ნეტავ, სად არის, ან, რა დაემართა დავით ივანიჩს, რო არსად ჩანსო.

ერთ დილას, როდესაც ილიას მამა აივანზე ჩაის მიირთმევდა, ვილაცამ ჯიშკარს ცხენი მოაგდო და, რა დაინახა აივანზე მასპინძელი, მიესალმა მხედარი. ეს იყო თავ. დავით წულუკიძე. „მართალი მძანდებოდით, მამაო ლუკა მათვეის, ამას წინათ რო მისაყვედურეთ, პასუხი არ უნდა გაგეცათო. ან, რა ჩემი საქმე იყო მისთვის პასუხის გაცემა?!

*) ამ დროს მე თფილისში ვსწავლობდი და აქაც დიდი ქარტეხილი ასტეხა ილ. ხონელის ფელეტონებმა.

ხომლელი.

ილიას მამამ გაუადვილა თ-დ დავითს შვილი სგან შეურაცყოფა და ურჩია ყურადღებას ნუ მიაქცევთ. იმ დღიდან მათი კეთილი განწყობილება არ შეცვლილა...

დიდი ხნის შემდეგ, როდესაც ილიკო რუსეთიდან დაბრუნდა, თ. ალმასხანი შეხვედროდა და სახლში წაეყვანა. ილიკო გაკვირვებული დაბრუნდა ალმასხანისგან.„ როგორი მოწყობილი სამწერლო კაბინეთი აქვს ამ კაცს, სიცილით უამბობდა ნაცნობებს, როგორი კალმისტარი არ გინდათ ალმასხანს, არ ქონდესო: ვეცხლის, სპილოს ძვლისა, თუ ხისაო.“

სამწერლო მაგიდასთან თ. ალმასხანს კედელს უშვენებდენ გარეულ ფთოსანთა ფთები, რომელნიც კალმებათ იყვენ გამოჭრილნი, თითქო ფთოსანთაც განეზრახათ დახმარების გაწევა თავ. ალმასხანისთვის იმ ათიოდე ასოს გამოსახატავათ, რომელნიც მისთვის საჭირო იყო თავის წოდების, გვარის და სახელის ქაღალდზე გადასატანათ და ამ მიზნით დაეტოვებინოთ მისთვის თითო ფთა.

ორბის ერთი ფთა ალმასხანს ილიკოსთვისაც ეჩუქებინა...

თავ. ალმასხანი ერთ დროს ძალიან დიდ როლს თამაშობდა დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა შორის. თავ. ნესტორ წერილის შემდეგ, მას დიდ ხანს ირჩევდენ თავად—აზნაურთა წინამძღვრათ. ხერხით, ქველობით, უხვ—მასპიძლობით იგი ყოველთვის იმარჯვებდა მტრებზე, რომელთაც სურდათ ჩამოეგდოთ წინამძღვრის ადგილიდან. გამარჯვების შემდეგ, მეგობრათ უხდებოდა გუშინდელ მტერს. თავ. ალმასხანი იყო უზარ მაზარი მოხუცი, მუდამ ახალ პირ მოპარსული, განიერ სახეს უშვენებდენ დიდრონი ულაშები, მარწყვივით შავი, ყოველთვის ახალ შელებილი. იგი იყო მამა ორის, ლიხთ—იმერეთის მნათობის ასულისა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ნატალიასა და სოფიოსი.

პირველი ანათებდა ზემო იმერეთს, მეორე აშვენებდა ჩვენ მხარეს. ამ ამბების შემდეგ, ილ. ხონელიც მალე ჩამოვიდა სამშობლოში და მაშინვე თ. დავით ერისთავმა მიიწვია გაზ. „კავკაზის“ თანამშრომლათ, რომელიც იმ დროს მის ხელში გადვიდა. იმ დღიდან იწყება მისი გამუდმებული მუშაობა გაზ. „კავკაზში“. იმავე დროს ბეჭდავდა საკვირაო ფელეტონებს გაზ. „დროებაში“. როდესაც „კავკაზი“ ტებენკოვის ხელში გადვიდა, ხონელმაც მიატოვა გაზ. „კავკაზში“ თანამშრომლობა, რათგან ტებენკოვის მიმართულება მის რწმენას ეწინააღმდეგებოდა.

ამ დროს სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებელმა, ივ. ივ. ტიხეევმა მიიწვია იგი სახელმწიფო გლეხების მდგომარეობის გამოსაკვლევათ შემდგარ წრეში და მიანდო რაჭის და შორაპნის მაზრების გლეხთა ეკანომიური მდგომარეობის გამოკვლევა. ილ. ხონელმა სიამოვნებით მიიღო მონდობილება და ეასაცვიფრებელი ხალისით შეუდგა გლეხთა ეკანომიური მდგომარეობის გამოკვლევას.

მისი შრომა დღესაც საუკეთესო გამოკვლევათ ითვლება ლიტერატურაში. იმ დროის რუსეთის დიდ ჟურნალებმა და გაზეთებმაც დიდი ქებით მოიხსენიეს ილ. ხონელის ნაშრომი. ერთი მისი გამოკვლევა „податное обложеніе въ Закавказьѣ“ ფინანსთა სამინისტრომ, გრაფ ვიტტეს დროს, სასელმწიფო ხარჯით დასტამბა პეტერბურგში, როგორც ხელსამძღვანელო ხარჯთ ამკრეფ ინსპეკტორებისთვის.

როდესაც ილ. ხონელმა ტიხეევის მონდობილება შეასრულა, იგი ილია ჭავჭავაძემ მიიწვია თანამშრომლათ გაზ. „ივერიაში“, რომელიც იმ დროს მან ჟურნალი გაზეთათ აქცია...

უნდა გენახათ ილ. ხონელი იმ დროს, როგორ აღტაცებული იყო ილ. ჭავჭავაძის მოწვევით გაზ. „ივერიაში!“ „აწი ბოლო მოეღება ჩემ ხეტიალს რუსულ გაზეთების რედაქციაშიო, ამბობდა იგი. დღეიდან ჩემი ძალ-ღონე უნდა შევალიო ქართულ ლიტერატურასო!!

გაზ.„ ივერიაში“ დღიდან დაარსებისა, ილ. ხონელი წერდა საკვირაო ფელეტონებს. ეს ხანა გაზეთ „ივერიისა“ უკეთეს ხანათ ითვლება ამ გაზთის არსებობაში.

ილ. ხონელის აღტაცებას ილ. ჭავჭავაძის ადმი მალე ფთები შეეკვეცა, როდესაც ერთმანეთი ახლო გაიცვნეს. ილია ხონელი, როგორც თავისუფლებაში აღზდილი და ნამდვილი დჟენ, ტლმენი, ვერ შეურიგდა იმ მონურ ატმოსფერას, რომელიც მალე გამეფდა „ივერიის“ რედაქციაში, რედაკტორის და მისი თანამშრომელების შორის. სიმართლე მოითხოვეს ვთქვათ ილია ჭავჭავაძე გძნობდა ძალას ილ. ხონელისას და ძალიან ეფერებოდა თავის თანამშრომელს.

ქართველ საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთებში ამ დროს დაიწყო გაუთავებელი დავა ივ. მაჩაბლის და ილ. ჭავჭავაძისა. იმ დროს სხვა საკითხებზე არ შეიძლებოდა ხმის ამოღება და ჩვენი საზოგადო მოღვაწეებიც მოქმედების ჯინს ისეთ უბრალო და უმნიშვნელო საგანზე იკლავდენ, როგორიც არი საზნაურო ბანკის მართვა გამგეობის საქმე.

ახლა რო გაითვალისწინებ იმ ბძოლას გაკვირვებული რჩები, რაზე შეალიეს ამდენმა ნიჭიერმა მოღვაწეებმა თვისი ნაჭი, ენერგია და მომავალიც!

იმ დროს—კი მთელი ქართველი საზოგადოება ორ მოპირდაპირე ბანაკათ იყო გაყოფილი. საგანი დავისა უბრალო და უმნიშვნელო იყო და უფრო ეხებოდა მებძოლთა კერძო ინტერესებს და მათ კეთილდღეობას, ვიდრე საზოგადო ინტერესებს. მარა მომქმედ პირთა ნიჭმა და ენერგიამ მთელი საზოგადოება ჩაითრია ბძოლაში და ბძოლით გატაცებულთ აღარ მოდიოდათ თავში ის უბრალო აზრი, რომ ორივე ბელადის ბაირაღზე ერთი და იგივე წარწერა იყო. ილ. ჭავჭავაძეს უნდოდა შეერჩინა ბანკის თავმჯდომარის სავარძელი და ივ. მაჩაბელი—კი ლამობდა ჭავჭავაძე გადაეგდო და თვით დამჯდარიყო მის ადგილზე. ვიმეორებ, საგანი ბძოლისა უმნიშვნელო და უბრალო იყო. მარა პირადმა ნიჭმა მებძოლთა პაწია რწყილი აქლემათ აქცია და ისე მოაჩვენა საზოგადოებას-ეს კერძო საქმე, თითქო საქართველოს ბედი იმაზე იყო დამოკიდებული-ილ. ჭავჭავაძე გაიმარჯვებდა, თუ ივ. მაჩაბელი. ამ ბძოლაში ილ. ხონელი ურვალე მონაწილეობას იღებდა ილ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ბძოლა ჭავჭავაძის გამარჯვებით გათავდა. მეორე მხარის ბელადმა ივ. მაჩაბელმა თავიც გადაატანა ამ ბძოლას...

ბძოლას ის მხარე მოიგებდა, ვინც მეტ ამომრჩევლებს მორეკდა ყუთებთან. ჭავჭავაძეს, როგორც თავმჯდომარეს ბანკისას, უფრო მეტი მომხრე ყავდა, ვიდრე მაჩაბელს და გამარჯვებულიც ის დარჩა.

1887 წ. ნ. ი. ნიკოლაძემ იყიდა სტეფანოვიდან გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“ და უმთავრეს თანამშრომლათ და ფაქტიურ რედაკტორათაც (ნ. ნიკოლაძე სოფელში ცხოვრებდა მაშინ), ილია ხონელი მოიწვია. იმ დღიდან, თითქმის ნუმერი არ გამოსულა ამ გაზეთისა, ხონელის წერილი, ან შენიშვნა არ ყოფილიყო დაბეჭდილი. სული და გული ჩაუდგა, ახალგაზდა, ბის ძალ-ღონე შეალია, გაზეთის მოპოვებულ გავლენით ხარობდა და ამაყობდა. სამართლიანიც იყო მისი ამაყობა. მაშინდელი „ახალი მიმოხილვა“ ერთ საუკეთესო გაზეთათ ითვლებოდა მთელ რუსეთის პროვინციის ჟურნალისტიკაში. გაზეთი გუშაგათ და დარაჯათ ევლებოდა საქართველოს.

გაზეთის პატრონმა ნ. ი. ნიკოლაძემ ისარგებლა გაზეთის მოპოვებულ გავლენით და მაშინდელ დროისთვის დიდი ტირაჟით და ერთ შვენიერ დღეს, თანაშრომლების დაუკითხავათ, ხონის ნოტარიუსთან მიყიდა გაზეთი გ. მ. თუმანოვს და მის ძმებს. მოულოდნელი მოქმედება და არა საკადრისი საქციელი ნიკო ნიკოლაძისა, ელდასავით ეცათ გაზეთის თანამშრომლებს და, განსაკუთრებით, ილია ხონელს. მან, რასაკვირველია, მაშინვე მიატოვა რედაქცია, მის მაგალითს სხვა თანამშრომლებიც მიყვენ, რათგან თუმანოვის მიმართულება, როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენელისა, მათ რწმენას ეწინააღმდეგებოდა. გამართლდა ილ. ხონელის მოლოდინი, თუმანოვებმა სულ უკულმა ხნეს ბ. ნ. ნიკოლაძის და მისი თანამშრომლების წაღმა დახნული და კიდეც გადაფარცხეს... ბოლოს, ბ. ნიკოც არ დაინდეს...

1891 წ. გაზეთი „კავკაზი“ გადვიდა იური მილიუტინის ხელში. მილიუტინმა საკვი-

რაო მეფელეტონეთ ისევ ილია ხონელი ეოიწვია. იური მილიუტინი იყო შვილი ცნობილ ნიკოლოზ მილიუტინისა, რომელმაც პოლონეთში სამოციან წლებში საგლეხო რეფორმები მოახთინა, და, რომელიც ერთ უმთავრეს პირათ ითვლებოდა რუსეთში ბატონ-ყმობის მოსპობის საქმეში.

იური მილიუტინი იყო ევროპულათ განათლებული კაცი და ნამდვილი დჟენტლმენი, ზედ მიწევნით მცოდნე ევროპულ ენებისა და ლიტერატურისა. ახლ-გაზდობაში იგი მსახურობდა გვარდიაში, მას მეფე ალექსანდრე III პირადათ იცნობდა. "კავკაზი"ს რედაკტორობა მისთვის ერთგვარი საფეხური იყო და გამოსაცდელი ნიადაგი უფრო მაღალ საფეხურებზე ასასვლელათ. იგი იყო ძმის შვილი სამხედრო მინისტრის დ. მილიუტინისა. იური ნიკ. ძემ დიდი ხალისით მიყო ხელი გაზეთის რედაკტორობას. ხშირათ ათავსებდა თავის გაზეთში მეთაურ წერილებს. მთელი რიგი წერილების უძღვნა მილიუტინმა იმ საკითხს, რო საჭიროა რუსის მოხელემ იცოდეს იმ ხალხის ენა, როლის შორისაც იგი მსახურებს და, მაგალითათ, მოიტანდა ინგლისელების მოქმედებას ინდოეთსა და ეგვიპტეში, სადაც ყოველი ინგლისელი მოხელე ვალდებულია იცოდეს ადგილობრივი ენა. ამ წერილებით ისარგებლეს სასახლის მისმა მტრებმა და ალექსაედრე III ს წააკითხეს. მეფეს არ იამა ასეთი აზრები იური მილიუტინისა და ცუდათაც მოიხსენია იგი. ეს ამბავი მილიუტინს აცნობეს მეგობრებმა პეტერბურგიდან.

ამ დღიდან იური მილიუტინის ბედიც გარდაწყდა. მაღალ წბეებში მიხვდენ, რომ იგი მათთვის გამოსადეგი არ იყო. მილიუტინსაც გული აუცრუვდა მუშაობაზე. ამის შემდეგ, მხოლოოთ თვალ ყურს ადეენებდა გაზეთს, როგორც რედაკტორი. ილ. ხონელი კარგ განწყობილებაში იყო მილიუტინთან. მარა რედაქციაში თავს თავისუფლათ ვერ გძნობდა, რათგან მილიუტინი, იმ შემთხვევის შემდეგ, ანგარიშს უწევდა პეტერბურგის მაღალ სფერებს და ფთხილათაც ეკიდებოდა გაზეთს, რომ არაფერი დაბეჭდილ იყო, რაც მოსაწონი არ იქნებოდა პეტერბურგის მაღალ წრეებში. მეორეჯელ მილიუტინს აღარ მისცეს გაზეთი.

ლ. ბახტაძე

(შემდეგი იქნება.)

განშორება.

(ვუძღვნი სანდრო გურულს)

მშვიდობით-გითხარ, წრფელი გძნობით გამოგესალმე,
მეტს არრას ვგძნობდი, განშორება არ განმეცადა...
შენ-კი იცოდი, ვერ მითხარი და შემიბრალე,
ვერ გამიმხილე უშენობით, რა მომელოდა...
მარტო გავშალე უცდელ ხელით ზღვათ იალქანი,
მსურდა განმეგძო მღილვარ შარა აღთქმის კარამდი
და მომაგონდი შენ, როცა ზღვის პირველმა ტალღამ,
ზედ ამიტანა უფსკრულს გვერდზე ცის მაღლობამდი...
მე შემეშინდა ჩემი ყოფის, ჭმუნვით აღვივსე,
ხმა იმედისა შენგან, ძმაო, მე არ მესმოდა.
ტილო დავკეცე გამოუცდელ ხელით ნაშალი,
სანამ ჩემს ნავსა შავ უფსკრული არ აცდებოდა.
და სიცოცხლეთა დაგაფასე გძნობის ამბორით.
მეგობრის სახე ბნელს სიშორემ ველარ დაფარა...
მაშინ ვიგძენი განშორება სულისა სწორის,
როცა ღვართქაფმა ტილო ნავზე გადამიფარა.

სანდრო მეგრელი.

ქ. არმავირი. 1916 წ.

აკაკის გარდაცვალებიდან წლის თავზე.

დიდებულ მგოსნის და სახალხო მომღერალის სულმნათ აკაკი წერეთელის გარდაცვალებიდან წლის თავზე, ჩვენ ცხრა მთას იქით ოთხ კედელშვა მყოფნი ქართველი კატორღელები მუხლს ვიდრეკთ სულმნათ აკაკის წმიდა სახელის პატივსაცემათ და სახსოვრათ, მგოსანთა ქურუმის, აკაკის ბწყინვალე-სხივოსანი და მადლიანი სახე თვალწინ გვიდგას განუშორებლათ, ჩვენ ცხოვრების გერებს, ტყვე-ტუსაღებს, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გულით ატარა საკან-ტყვე-ტუსაღობა... მისივე სიტყვებით:

შენ ბორკილში ხარ, ჩემო ძმობილო,
მე თავისუფლათ დავიარები!...
მარა ორივეს თანსწორათ გვტანჯავს
ნაბორკილევი და იარები!
შენ საკანში ხარ, მე კი მაგ საკანს
გულით ვატარებ დიდი ხანია
და, ვინ დაითვლის, რაც იმისაგან
ტანჯვა, წვალება ამიტანია?!
შენ ნუ გგონია, რო საპყრობილე,
მარტო მაგ ციხის კარდახშულშია!...
საპყრობილე ის უფრო მწვავია,
რაც ჩაკირული სულს და გულშია".

უკვდავია ის ერი, საიდანც წარმოიშობა აკაკის მზგავსი გმირები და, ნეტავ იმ დედებს, რომელნიც წარმოშობენ მზგავს ადამიანებს... სალამი მშობელ მხარეს.

ვარშავის საკატორღო ციხის ყოფილი, ახლა-კი ნიჟნი-ნოვგოროდის საკან-ციხეში მყოფ ქართველ კატორღელების მონდობილობით პ. ოხრობეთელი.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის ასული.

ქართული სცენის ნიჭიერ მოღვაწეს, ქართველ ქალს ელისაბედ ჩერქეზიშვილის ასულს, ოცდაათი წელიწადი შეუსრულდა მას შემდეგ, რაც იგი მოედანზე გამოსულა და იღწვის საქმეყნოთ. ამისთვის მადლიერმა ქართველთა საზოგადოებამ ამ მდგომარე წლის, თებერვლის პირველ დღეებში, საიუბილეო დღესასწაულიც გულწრფელათ გადუხადა მას თფილისსა და ქუთაისში.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის ასული ერთი ნიჭიერი და საყვარელი, ფრიად სიმპატიური მსახიობი მანდილოსანია საქართველოში, სადაც მის სახელს ყოველთვის სიყვარულით მოიხსენებენ. იგი სასცენო ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია, რომელსაც ცოცხალი და მძლავრი, ნაზი გძნობების გამოსახატავათ სცენაზე პირველი ადგილიც უჭირავს და გვერდს უშვენებს ისეთს უნიჭიერეს მსახიობ ქალებს, როგორიც იყვენ მარო საფაროვ-აბაშიძისა და ნატო გაბუნია-ცაგარლისა.

მიზეზიც სწორეთ ეს არი, რომ ელისაბედის სახელს ქართველთა საზოგადოება სიყვარულით და პატივსცემით ეპყრობა. ამ დიდათ მოსიყვარულე გულის პატრონს მანდილოსანს ამდენი ხანია უმოღვაწია ეკლით და ნარით მოფენილ ჩვენი სამშობლო სცენის ასპარეზზე, ბევრი ტანჯვა და ვაებაც უნახავს და აუტანია... მარა შვენიერი ქართლის შვილის მტკიცე ხასიათი ვერ შეურყევია და გამარჯვებით, ხალისით უმოღვაწ-უმუშავნია ყოველთვის.

ელისაბედის სასცენო ნიჭი ხელოუნლებელი ბუნების და ეროვნული მემკვიდრობის სულის დგმით არის აპრიალებული. ელისაბედის ქართულათ ჩაცმა-დახურვა, სიტყვა-პასუხი, მიმოხვრა, მხიარულება და მწუხარება, ჭირი და ლხინი ნამდვილი და ჭეშმარიტი ქართველი ადამიანისა აქვს და ეს ძვირფასი ნათესავობა და მშობლიური კავშირი ხიბლავს მაყურებლის გულს და ერთიანა უმორჩილებს ამ ნიჭიერ მსახიობ-ქალს.

ალექსანდრე ჩერქეზიშვილის ასული, ლიზა (ელისაბედს შინაურებიც და საზოგადოებაშიაც ლიზას უწოდებენ) პატარა ლიახვის ხეობიდან არი და დაიბადა 1863 წ. პირველ გიორგობისთვეს, სოფ. კოშკაში. ლიზას დედა ქვემონიქოზელი, მხარგძელ-ფავლენიშვილის ქალიშვილი იყო და კარგათ შეძლებულებაც ცხოვრობდენ ოჯახში.

პატარა ლიზა სიცოცხლით სავსე, ცელქი, ცქრიალა და ნიჭიერი გოგონა იყო. მშობლებმა იგი მიაბარეს ქ. გორში, ხრუშჩოვის ქალების რუსულ სკოლაში, სადაც ლიზა სწავლობდა სულ ოთხითვე. ოთხითვის შემდეგ, ლიზა მშობლებმა შინ წაიყვანეს და იქ ბუნების შვენიერს და ტურფა წიაღში იშლებოდა ეს ლამაზი ყვავილი. ლიზა უაღრესათ სიცოცხლით და გრაციით სავსე ქალიშვილი შეიქნა და 15 წლის იგი მშობლებმა თვით ლიზას უნებლიეთ მიათხოვეს თ. მაჩაბელს-ბორტიშვილს, რომლის გან დარჩა შვილი, ნინო.

ეს ქმირი ლოთი გამოდგა და ლიზას აღტაცებულმა ანგელოზურმა ბუნებამ ვერ აიტანა მასთან ცხოვრება. მიატოვა ქმრის ოჯახი, წამოიყვანა თვისი ქალიშვილი და მოვიდა მშობლებთან...

ლიზა ძალიან მომლხენი, სიხარულის წმინდა თაიგული შეიქნა და ყველას ყურადღებასაც იქცევდა. ადრევე გამოიჩინა მან სხვათა განსახიერების ნიჭიც. 80—იან წლებში სოფ. მერეთში ისაია ოველის ძე ფურცელაძის ოსნობით სცენის მოყვარეთა უფასო წარმოდგენები იმართებოდა და, აი, აქ ითამაშა პირველათ სცენაზე ლიზამ ქაბატო და სარა („ხანუმა“-ში).

პირველ გამოსვლისთანვე ლიზამ დიდი ნიჭი გამოიჩინა და ყურადღება მიიქცია გიორგი დურმიშხანის ძე ჟურულისა და მისი დედის, ქეთევანისა, რომელთა რჩევითაც ახალგაზდა ქალიშვილი თფილისს ჩავიდა, ქართული დასის რეჟისორთან, ვ. მ. თუმანიშვილთან. რეჟისორის ხელმძღვანელობით თფილისის ქართულ სცენაზე პირველათ საქვეყნოთ ლიზა გამოვიდა 1886 წ., სეკტემბრის 12, „ახლანდელ სიყვარულში“ (ნატალია). ამ პირველმა გამოსვლამ გადაწყვიტა ჩვენი სახიობი- ქალის ბედიც: ამიერიდან იგი დასში მიიღეს, თვეში 40 მან. დაუნიშნეს და, ამის შემდეგ, იგი სამშობლო სცენას აღარ განშორებია.

ლიზას მეორე ქმარი იყო ჩემი დაუვიწყარი მეგობარი, მაღალ ნიჭიერი ქართველი მწერალი, ნიკო თადეოზის ძე ხიზანაშვილი*), დიდათ ცნობილი ლიტერატურაში ნ. ურბნელი, ბლებსის, მუჩაიძის და სხვა ფსევდონიმებით. ნიკო დიდი ენტუზიაზმის, დიდი ცოცხალი ტემპერამენტის მწერალი იყო, დიდი მშრომელი კაციც, რომელსაც, რა თქმა უნდა, უდიდესი გავლენა და ზედ მოქმედება ქონდა ლიზაზე. ლიზას ქართული ლიტერატურა ქმარმა შეაყვარა და თვით გავითარების გზას დაადგა. ილია ჭავჭავაძის ოჯახთან ძალიან დაახლოვებული იყო ნიკოს ოჯახი. ერთ ეზოშიაც იდგენ ერთ ხანს და ყოველ დღე ერთმანეთს ხვდებოდენ. ლიზას გძნობა--გონების გავითარებას ეს გარემოებაც ხელს უწყობდა, რა თქმა უნდა და იმისი ტალანტი უფრო და უფრო მწიფდებოდა.

ლიზას ისე ძლიერ უყვარდა ქართული სცენა, როგორც მის ქმარს ნიკოს—ქართული ლიტერატურა. ეს ორი ადამიანი თითქოს განგებისათ ერთი მეორისთვის იყვენ გაჩენილნი.

ქართული ოჯახი და ქართული სცენა იყო ის წმიდა ტრაპეზი, სადაც ლიზა ღვდელ მოქმედობდა. ხშირათ ავათ მყოფი ქმარშვილი თვალ ცრემლიანს ლიზას მიუტოვია და სცენაზე კომედია-ვოდევილებში სიცილ-ხარხარით უთამაშნია...

1905 წელს, 15 დეკემბერს დიდი, აუწერელი უბედურება დაატყდა თავზე ლიზას. ვიდაც ნაძირალებმა, ზურგსუკან მიპარვით, ქუჩაში მოკლეს მუდამ პირმომღიმარე, მხნე და ალერსიანი დიდი მოღვაწე, მეცნიერი მწერალი, ნიკო ხიზანაშვილი, რომელზედაც ერთი სიტყვაც არ დაუხარჯავთ ჩვენი პარტიების ბელადებს....

ამ დროს ლიზას ცხოვრების ტრაღედიას ვერ ასწერს მწერლის კალამი. მთელი ოჯახის პატრონობა და გაძღოლა მას დაეწვა კისერზე: მოხუცებული დედა-თავ. მხარგძელ-ფავლენიშვილის ასული, პირველ ქმრიდან შვილი, ნინო და ორი ვაჟი ნიკოსგან-ვახუშტი და შალვა. ამ დიადმა უბედურობამ უფრო გაასალკლდევა, გააკაჟა ლიზა და მთელი ძლიერებით გა-

*) ნიკოზე მე ცალკე სტატიაც ნეკნება ამ ჟურნალში დასტამბული.

მხნეედა, გავაშკაცდა. ოჯახურს დიდ უბედურებას სცენაზე იქარვებდა.

ლიზას ქალიშვილმა ნინომ ეპარქიალური სასწავლებლის კურსი დაასრულა, მასწავლებლის ადგილი იშოვა და დედას მცირე ოდენ დახმარებას აძლევდა. მარა 1907 წ. 11 მაისს ნინოს, რომელიც დედასთან ცხოვრობდა, სახლი გაუჩხრიკეს (ლიზა ამ დროს შინ არ იყო), ლიზას მოხუცებულ დედას ჯავრით გული გაუსკდა და გარდაიცვალა. ნინოს პოლიტიკური დანაშაული დასწამეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ვერც ამ დიდმა, უსაშინელესმა უბედურებამ გასტეხა ეს შესანიშნავი ხასიათის ადამიანი და იგი, ბოლოს, აქიდანაც გამარჯვებული გამოვიდა.

ქალიშვილი ნინო, თუმცა გაუკიმბირეს, მარა ისე მოახერხა, რო საფრანგეთში ამოყო თავი და დღეს იქა ცხოვრობს ქმრით. ვაჟი შვილებს—ვახუშტსა და შალვასაც გაუძღვა და ორივე დღეს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს. ასე სასიქადულოთ წარუძღვა ლიზა თავის ოჯახსაც, ქმარის სიკვდილს შემდეგ.

ამავე დროს, იგი ქართული სცენის განუშორებელი მუშაკიც იყო. ნატო გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების შემდეგ, ქართული სცენა თითქმის დაობლდა. მარა ეს ობლობა ჩვენს სცენას ლიზამ არ შეამჩნევია. მან ნატოს მაგიერობა გაუწია ქართულ სცენას.

მრავალფეროვანია ლიზას რეპერტუარი. იმის უმთავრეს როლებათ ითვლებიან კომიკური დედაბრები, მაგალითად, ხახო „დაქცეულ ოჯახში“, სალომე „ინჯინერი და დოხტურში“, გამდელი „დავაში“, „ეფროსინე დედისერთაში“, ხანუმა, ქაბატო, სარა და კატინა „ხანუმაში“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ანფისა „ბორკილში“, გუგუშვილის მეუღლე „უნდა გავიყარნეთ“, ოსის ქალი „ქმარი ხუთი ცოლისა“, მაკრინე „დრონი მეფობენ“, ელისაბედი „ჯერ დაიხოცენ, მერე დაქორწილდენ“, კეკელა „გაცრუებული იმედი“, ქვრივი ქალი „გლახა პრიჰშვილში“, კნეინა ქეთო „ნიგილისტკა“ ჯ სხვა.

ლიზამ ქართულ მწერლობაშიაც შეიტანა თვისი წვლილი.

პირველი მისი მოთხრობა „აღდგომის წინათ“ დაისტამბა „თეატრში„ 1888 წ., № 17, შემდეგ დაისტამბა „საბრალო ნენე“ („ივ.“ 1891 წ., № 186), „სხვერპლი უბედურებისა“ („ივ.“ 1892 წ. 8, ლ. კოშკელის ვსევდონიმით), „სცენა სოფლათ“ („ივ.“ 1897 წ. № 156), „ორი სხვერპლი“ („ივ“. 1904 წ. № 79). აქვს პუბლიცისტური ხასიათის წერილებიც „ჩიორა და ქართველი ქალები“ („ივ„ 1894 წ. № 246), „წერილი მეგობართან პეტერბურგიდან (თეატ. და ცხ.“ 1910 წ. № 15, ჯერ დაუბეჭდავი „მგზავრის წერილები“ და სხ.

მოთხრობებში დაბალი მშრომელი ხალხია გამოყვანილი, პუბლიცისტურ წერილებში ქართველ ქალთა გადაგვარება და სამშობლო სცენის ვითარება.

ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ ქართველ მანდილოსანს, რომელსაც სკოლაში საფუძვლიანი სწავლა-განათლება არ მიუღია. მარა ბუნებით დაჯილდოებულ ტალანტს გზა გაუკაფავს, პირადი ინაციატივით და ხასიათის გაუტეხელობით და თვითგავითარებით ისე დაწინაურებულა, რო ქართულ სცენაზე პირველი ადგილი დაუჭერია, მშობლიურ მწერლობაშიაც შეუტანია თვისი წვლილი და შვილებიც სასახელოთ აღუზდია.

ჭეშმარიტათ, ასეთი მანდილოსანი დიდი, ღრმა პატივის ცემის და სიყვარულის ღირსია, რათგან იმისი ტანჯვით სავსე ცხოვრება მოზარდთაობას ასწავლის მრავალი სამწრის დაძლევას და ახალი კულტურული ცხოვრების შესაქნელათ მოუწოდებს მას.

სულით ავათმყოფობა.

სულით ავათმყოფობა სხვა და სხვანაირია და მიზეზებიც თითოეულ მათგანს ბევრი აქვს. ზოგი მიზეზი ნიადაგს უმზადებს ავათმყოფობას, ე. ი., შექნის ავათმყოფობისადმი მიდრეკილებას და ზოგიც იწვევს მას პირდაპირ ცხოვრებაში.

ამასთანვე უნდა ითქვას, რომ ამ მიზეზთა გავლენა ისეთი რთული და ზოგიერთ შემთხვევაში მალულიცაა, რო ძლიერ ძნელია ვთქვათ: ამ და ამ მიზეზმა ნიადაგი მოამზადა და ამან-კი გამოიწვია ავათმყოფობაო. ამ მიზეზებს ზოგს საზოგადო ხასიათი აქვს, სხვებს-კი, კერძო. საზოგადო ხასიათის მიზეზები არიან რასიული, კლიმატიური, სოციალური, მოქალაქობრივი, სქესობრივი და სხ. მაგ. ამ ჟამათ ებრაელები, შედარებით, მეტ რიცხვ ფსიხოპატებს და ნევროპატებს იძლევიანო, არაბები და ზანგები (ნეგრები) პროგრესიული პარალიჩით (დამბლით) იშვიათად ავათმყოფობენ. ამას ხსნიან მხოლოთ რასიული მიზეზებით. კლიმატიური მიზეზების გავლენა აშკარავდება- სხვათა შორის, იქიდანც, რო ზოვ მხარეში კრეტინიზმი ძლიერ გავრცელებულია და სგვაგან-კი იშვიათი მოვლენაა. აგრეთვე ევროპიდან ცხელს ქვეყნებში გადაყვანილ გარნიზონებში თავის მკვლელობის შემთხვევები ორკეცდებიან, რასაც კლიმატური მიზეზებით ხსნიან. საზოგადოთ, თავის მკვლელობისა და შეშლილობის შემთხვევები მატულობს გაზაფხულობით, ივნისის თვემდი და, შემდეგ, ზაფხულზე და შემოდგომაზე და ზამთარში იანვარსა და თებერვლამდი კლებულობს. ჩანს, წელიწადის დროსაც გავლენა ქონებია სულით-ავათმყოფობის გამოწვევაზე.

სოციალურ პირობებსაც არა ნაკლები გავლენა აქვს. მაგ. მონობაში, სადაც კაცის ინიციატივა შეზღუდულია, სულით--ავათმყოფობა იშვიათია. ხოლო პიროვნების ემანციპაციის შემდეგ, სიცოცხლისთვის ბძოლა და გამუდმებული ზრუნვა უხვათ უმზადებს ნიადაგს სულით დაავადებას ყოფილ მონათაშორისაც, ამნაირათ, ცივილიზაციას თან მოსდევს ფიზიკური და მორალური უდიერი რყევა, რასაც საშვალოზე ნაკლები გამძლეობის ნერვები დაუსჯელათ ვერ აიტანს. მაგ. ვაშკაცობაში 36-40 წლამდი, მამაკაცისთვის ოჯახური და სოციალური მოთხოვნილებათა გართულების დროს, სულით ავათმყოფობა ძლიერ ხშირია და აგრეთვე ქალისთვის 25-35 წლამდი, როდესაც მას შვილოსნობა მძიმე ტვირთად აწვება.

შემჩნეულია, რომ აკვეცილებ შორის სულით ავათმყოფობა, შედარებით, უფრო გავრცელებულია, ვიდრე ოჯარის მეპატრონეებში, თუმცა ამ უკანასკნელთ მეტი დიდი ჯაფა და ზნეობრივი პასუხის მგებლობაც უდვიათ თავზე. ეს გამონაკლისი აიხსნება მით, რო ხშირათ გონებრივათ ანორმალური ადამიანები ვერ ახერხებენ ოჯახობის გაწყობას და ზოგს სრულიათაც არ აქვს ამისთვის მოთხოვნილება. ასეთი ცალმხრივობა მათ ცხოვრების სხვა სფეროებშიაც ეტყობათ.

ზოგი თავი ხელობა, როგოც მაგ. მესტამბობა, სადაც ტყვიასთან და სხ. საწამლავ ნივთიერებასთან აქვს ადამიანს საქმე, სულით-დაავადებას ხელს უწყობს. აგრეთვე რკინის გზებზე სამსახური, როგორც მძიმე საპასუხისმგებლო, ბუნებრივ მოსვენებას მოკლებული და მუდმივ ჯანჯგალში ცხოვრება ძლიერ უწყობს ხელს სულით--ავათმყოფობის შექნას და გამოწვევას.

კერძო მიზეზები სულით დაავადებისა გამოიხატებიან პირადი მიდრეკილებით სულით—ავათმყოფობისადმი, რომელიც ზოგი მემკვიდრობითია და ზოგიც საკუთრათ—პირადათ შეძენილია. მემკვიდრობითი სულიერი ზნიანობა-თუ საკუთარის მშობლებისგან არი გადმოცემული—პირდაპირი იქნება და, თუ პაპისგან და ბებიებისგან მომდინარობს- მაშინ იგი ატავისტური იქნება. ერთიცა და მეორეც, შეიძლება, უბრალო—ოლი იქნეს და, შეიძლება, ღრმათ გამჯდარიც კაცის ბუნებაში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩამამავლობა გადაშენების გზაზედაა დამდგარი, რომელთაც ჩვეულებრივ დეგენერატებს უწოდებენ. მათი ნიშნობლივი თვისებანი—ფიზიკური და ფსიქიური არიან. პირველს ეკუთნიან: თავის ქალის ასიმეტრია (უსწორობა), უფრო ხშირათ სიფილისის და რახიტისგან არი გამოწვეული, მიკროტეფალია — თავის სიწვნიკე, ნაკლულოვანობა ცხვირ-პირის-არა ბობა, ყურების და თვალების ელამობა, მეტი, ან ნაკლები თითები ხელ ფეხზე, აკუმობა, ე. ი., სქესობრივი ასოების სიწვნიკე და სხ... მეორეს—ფსიქოლოგიურ ნიშნებს ეკუთნიან: მეტი ფიცხი მგძნობელობა და ჩაბეჭდილება, ძლიერ

მოძრავი ფანტაზია, ცალმხრივობა მოქმედებასა და აზროვნებაში და აგრეთვე გატაცებულობა ღვინით, გასართობებით, ხშირათ სქესობრივი გაღიზიანებული გძნობელობით და უზნეობით.

მემკვიდრობითი დეგენერაციისგან (გადაშენებისგან) უნდა გავარჩიოთ თანშობილი დეგენერაცია, რომელიც წარმოდგება მავნე გავლენისგან ჩასახვის დროს, ან ორსულობის დროს. ასეთი არიან სხ. და სხ. საწამლავები, გადამდები ავათმყოფობანი, ინტენსიური (ძლიერი) სულის მღელვარებანი და სხ. ამათ შორის, ყველაზე უძლიერესი და თვალსაჩინო არიან ალკოგოლიზმი და სიფილისი. ასეთი სენით შეპყრობილ მშობლების ნაყოფს, ჩვილობის დროს, ხშირათ ემართებათ მონჯილვა, რომელთაგან ნახევარზე მეტს ავი—ზნე ემართება, სხვებს თან ყვება იდიოტობა (უგნურობა), ზნეობრივი სიმახინჯე და სხ. თუ რა მავნე გავლენა აქვს ნაყოფისთვის ორსულ ქალზე ფიზიოლოგიურ, ფსიქიურ და სხვ. უმწეობას—ამას გვიმტკიცებს 1870—1871 წლის პარიზის მაგალითი. ამ უბედურ წლებში, დაბადებულთა შორის, სულით ავათმყოფები ძლიერ დიდი პროცენტი აღმოჩდა. ასეთივე ნაყოფს უნდა ველოდეთ თანამედროე უდიერი ომისგან მეომარ ქვეყნებში.

სულით—ავათმყოფობის გამომწვევი მიზეზები არიან ფიზიკური და ფსიქიური, რომელნიც მიძინებულ შესაძლებლობას აღვიძებენ ‌ და იწვევენ ცხოვრებაში. უმათოთ სნეულება თავს არ გამოიჩენდა. ფიზიკური მიზეზები არიან: გადამდები ავათმყოფობანი, რომელთაც თან მოსდევს ხშირათ სულიერათ დაბეჩავება, რომელიც, ავათმყოფობის დაგვარათ, თან და თან ძლიერდება. გადამდები ავათმყოფობის სპორებისა და ბაცილებისგან გამომუშავებული საწამლავი არ ჩამოუარდება თავის ძლიერებით და დიდათაც არ გასხვავდება თავის გავლენით ალკოგოლისა, კოკაინისა და სხ. ქიმიურ საწამლავებს. მეორე მხრით, გადამდები ავათმყოფობანი, ავათმყოფის საზოგადო დასუსტების გამო, ხშირათ რამდენიმე კვირის და თვეების შემდეგ, თან მოსდევს ბუნდოვანება, არევა აზრების, ან და ნაადრევი ბოდვა. ასეთი სულით—ავათმყოფობა თან მოსდევს, როგორც ტროვმატიზმს, მოქანცულობას, სხ. და სხ. საწამლავებს, აგრეთვე სისხლის მოწამვლას, ქარცეცხლს, სახსრების ქარებს (რევმატიზმს), ჭლექს, ტიფს, სუსუნატს და სხ.

ზემოხსენებულის საილუსტრაციოთ გავიხსენოთ ჩვენებური ციებ-ცხელება: ვის არ უნახავს ამ ავათმყოფობის თაკარაში ჩაგდებულის ბოდვა, ან დამპალი ციებით დაუძლურებულის მბეჟუტავი სულიერი და ფიზიკური დაბეჩავება.

ჩვენში ძლიერ გავრცელებული ხს. და სხ. ფორმის ჭლექი იწვევს დასაწყისში მოწყენილობას, სიფიცხეს, განმარტოების სურვილს, ერთი სიტყვით, მელანქოლიას. მეორე სტადიაში-პერიოდული სიცხის დროს, ავათმყოფი ბოდვაშია და, შემდეგ, როდესაც ბაცილები და მათი გამონამუშავარი ტოკსინები ტვინის აპკს შეეხებიან, ავადმყოფი თითქმის მუდამ ბურანში და გონებრივ გამოურკვევლობაშია. ყველა დასახელებულ და ზოგს ჯერ დაუსახელებელ პირობებში ოტოინტოკსიკაციას დიდი ადგილი უჭირავს, როგორც მაგალითად, პოდაგრის, დიაბეტის, ნეფრიტის და სხ. დროს.

როგორც ზემოხსენებული სნეულებანი, აგრეთვე ყოველ-გვარი დამაუძლურებელი მიზეზები: გულის, საშვილეს, კუჭის, წელების და სხ. ავათმყოფობანი, ორსულობა, მშობიარობა, პირველი და უკანასკნელი თვიური რიგის მოსვლა, სხვა და სხ. ნაირი ტრავმა-ყველა ესენი ხელს უწყობენ და ბევრ შემთხვევაშიაც იწვევენ სულით ავადმყოფობას. ხოლო ტვინის ბუნებრივი სიმდარე და ნაადრევათ მისი მოცვეთა სულით -ავათმყოფობათა გამომწვევი დედაბოძია.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სულით-ავათმყოფობათა გამოწვევაში ზნეობრივ მიზეზებს: ჯავრს, შიშს, მწუხარებას და სხ. ყოველ შემთხვევაში, მექანიზმი დაახლოვებით ერთგვარია: პირველათ, ტვინის მასაზდოვებელი სისხლის შემადგენლობის გაუარესება და, მეორეთ, ტვინამდი სისხლის დენის წესიერების დარღვევა, რომელიც მუდამ ერთი ზომის არ არი.

ვიდრე სულით ავათმყოფობის ნიშნების გაცნობას შევუდგებოდეთ, საჭიროა სქემატიურათ მაინც გავეცნოთ ნორმალურ სულიერ მოვლენათა ძირითად მხარეებს.

გარეგან ნივთიერებას და მოვლენებს გავლენა აქვთ ცოცხალ არსების გძნობათა ორგანოებზე, საიდანაც ეს გავლენა—გაღიზიანება ბუნებრივი აუცილებლობით მიდის ტვინის უახლოეს ცენტრამდი, ზურგის შესაფერ განყოფილებაში. აქ ორი შესაძლებლობაა: თუ ეს ცენტრი დაუყოვნებლივ—ავტომატურის სისწრაფით—პასუხს გასცემს ამ გავლენას—ეს იქნება რეფლექსი. ამ შემთხვევაში, ორგანიზმი შეგნების ნიშნებს არ იძლევა. მაგალითად, სახიფათო ადგილას მწოლარე და მძინარე ადამიანს, თუ ცხოველს თადარიგათ რომ ეჩხვლიტოთ—ის გვიპასუხებს მოძრაობით და ეს მოძრაობა არ იქნება მიზან შეწყობილი. პირიქით, ხშირათ მისი დამღუპველი შეიძლება დარჩეს, რადგანაც მისი მოძრაობის ინიციატივა გამომდინარობს უახლოესი ცენტრიდან—თვინიერ უმაღლესი ცენტრისა—შეუგნებელია. ეს რეფლექსი იქნება. მარა, თუ უახლოესი ცენტრიდან, ზურგის ტვინიდან გაღიზიანების ამბავი ზედა ცენტრში გადავიდა, ე. ი., თავის ტვინის ქერქამდი მიაღწია და ეს ორგანო საღ მდგომარეობაშია, ცხოველი ფხიზლათაა, მაშინ ამ გაღიზიანებაზე რეაქცია ზედა ცენტრიდან ქვედა ცენტრში მოვა და აქიდან საპასუხო მოვლენას ადგილი ექნება., მხოლოთ ეს როდი იქნება ვარაუდი რეფლექსი, ეს იქნება მიზან-შეწყობილი მოვლენა, რომელიც მიმართული იქნება იმისკენ, რო ცხოველი ხიფათს ააცილოს, ამ შემთხვევაში, მოვლენას აქვს შეგნებული—ფსიქიური ხასიათი—ეს იქნება გძნობა. გძნობის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ის, რო მისი გამომწვევი მიზეზის მოსპობის, თუ გაშორების შემდეგ, შესაძლოა, თავის ტვინის ცენტრმა ისევ აღადგინოს ის და ცოტათ, თუ ბევრათ წინანდებურათ წარმოიდგინოს—ეს იქნება აკტი მეხსიერებისა. ამნაირათ, თავის ტვინის ქერქში შექნილი გძნობა ბუნებრივათ ილტვის იმისკენ, რო მიეწეროს მის გამომწვევ საგანს და, როდესაც ეს მოხდება ნორმალურათ—ეს იქნება სწორი წარმოდგენა ხსენებული საგნისა. ასეთი პროცესი შეიძლება მოხდეს დაუყოვნებლივ—ხან მოუთევლად. მარა შეიძლება ხან—მოთევითაც და რამდენიმეჯერ მისი გამეორება—თვით ამ წარმოდგენის საგნის შორს მყოფობის, ან არ მყოფობის დროსაც, თუ კი ამის გამომწვევი მიზეზები იქნება. ასეთ შემთხვევაში, ზოგი მზგავსებით, ზოგი ადგილის და დროის მიხედვით, ერთი წარმოდგენა—მეორეს და მესამეს და ესენი სხვებს იწვევენ და ეს შეადგენს, ე. წ., იდეათა ასოციაციას. ასოციაცია ორ ნაირია: ზედ მიყოლით—მიმდინარე, მაგალითად, დაინახეთ მეგობარი, მან გაგახსენათ მისი ოჯახის მყოფელნი, ნაცნობები, სტუმრები, მეზობლები თვისი ცოლშვილით, სახლკარით და სხ.

მეორე რიგის ასოციაცია მდგომარეობს გძნობათა და წარმოდგენათა კომბინაციაში, რომელიც იძლევა აზრსა და მსჯელობას, ე. ი., ლოლიკურ დასკვნებს.

მკურნალი ს. დადუნაშვილი.

(შემდეგი იქნება).

რედაქციისგან.

„ცხოვრების“ რედაქცია პატივისცემით მოაგონებს თავის წლიურ ხელის მომწერლებს, დააჩქარონ ფულის გამოგზავნა, რო შეძლება მოგვცენ გავუძღვეთ ჟურნალის გამოცემის საქმეს.

მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

ზემოთ მოვიხსენეთ *), რო ბატონიშვილი არჩილის გვამი დამარხულ იქნა ქრისტიანულ წესის აუსრულებლათ და, რო კათალიკოზი

*) გაგძელება. იხილე „ცხოვრება“, № 1.

ეწინააღმდეგებოდა გიორგი აბაშიძის ქალის, თამარის, ლიპარტიანისთვის მითხოვებას. ეს ორი ფაქტი ღირსია ყურათღებისა იმათთვის, ვისაც აინტერესებს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა მე XVII-XVIII საუკუნეებში.

ყველას ახსოვს ის დრო, როდესაც საქართველოს ეკლესიამ მოინდომა თვისი აწმყო ღნუგეშო მდგომარეობიდან თავის დაღწევა, როდესაც მან წამოაყენა თვისი ავტოკეფალობის, აღდგენის საკითხი. ახსოვს ისიც რა ნაირათ შეხვედეს ამსაკითს მმართველი ეკლესიის წარმომადგენელებმა. თვით რუსეთის ეკლესია ამ დროს იმის ცდაში იყო, რო თავისთვის დაებრუნებია კანონიერი წესწყობილება, რომელსაც ის მოკლებულია პეტრე დიდის დროიდან. ამისთვის საჭიროთ თვლიდენ კერძო სრულიათ რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევას. ეს-კი თხოულობდა მომზადებას და ამისთვის გახსნეს წინასწარი კრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ მცოდნე პირები ისტორიკოს—კანონისტები.

აი, ამ კრებას გარდაეცა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხი, რო გამოერკვიათ, ქონდა, თუ არა ოდესმე ივერიის ეკლესიას ავტოკეფალობა და, თუ ქონდა, მაშასადამე, აქვს მას უფლება ამის მოთხოვნისა, რა სახით და საშვალობით უნდა გახორციელდეს იგი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სამართლიან მოთხოვნას წინასწარ კრების წევრებმა მტრულის თვალით შეხედეს. მათ უნდოდათ დაემტკიცებიათ, რო საქართველოს ეკლესიას არას დროს არ ქონია თავისუფლება. მარა, როდესაც ამის დამტკიცება ვერ მოახერხეს, თვით ივერიის ავტოკეფალური ეკლესია დასვეს ბრალდებულთა სკამზე. მათის აზრით, ის მე XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში მამადიანთა ბატონობის გამო, უკიდურეს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, საეკლესიო საქმეები საქართველოში რუსეთის იქ დამკვიდრების დროს, ნამეტან არეულ-დარეული იყო. განათლება იმდენათ იყო დაცემული საღვდელოებაში, რო ღვდლებმა წერა-კითხვა არც-კი იცოდენ[1]), ხალხს ვერ მოძღვრიდენ და ამისთვის სარწმუნოება და ზნეობა ხალხში უკიდურესათ დაცემული იყო[2]),

1) Журналы II отдѣла Высочайше учрежденнаго предсоборнаго присутствія т. II, отдѣлъ II, გვ. 158, 198, 201 და სხ. გავითვალისწინოთ. სხოლიებში მაინც მდგომარეობა მე XAII-XVIII საუკუნეების განმავლობაში იმ ეკლესიისა, რომლის წარმომადგენელნი ჩვენი ეკლესიის მდგომარეობას დასახელებულ საუკუნეებში ასე უკიდურესათ დაცემულათ თვლიდენ, ეკლესიურ წეს-წყობილებას გმობდენ და ამით უნდოდათ გაემართლებიათ ანტიკანონიური აქტი ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობის მოსპობისა.

2) ხალხის განათლებით იმ დროს რუსეთი მეტათ ჩამოქვეითებული იყო. თუ მე XIX საუკ. დასაწყისში სწავლა—ცოდნის გავრცვლება საშიშარ საქმეთ მიაჩდათ, რა უნდა ითქვას წინა საუკუნეებზე. კაცის კვლა, ეკლესიების ცარცვა, კვრეხელობა, ქრისტიანული წესების აუსრულებლობა, წირვა—ლოცვის დროს ეკლესიაში უდიერი საქციელი, ლაყბობა და გინება ხშირი მოვლინება იყო (ღვდ. პოპოვი. მოხს. თხზ. გვ. 169 და 192). ხალხი ზნეობრივათ დაცემული იყო. არ ესმოდა ის სარწმუნოება, რომელსაც აღიარებდა. ეპისკ. ათანასე როსტოველის თქმით, „იქაც (როსტოვის ეპარქიაში), როგორც მთელ რუსეთის იმპერიაში, გლეხის შვილები იზდებოდენ არ მცოდნენი არც ლოცვებისა და არც იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებდენ. იშვიათს გლეხს აქვს ნამდეილი წარმოდგენა ღმერთზე. უწესო საქმეები ცოდვათ არ მიაჩნიათ (იქ. 169—170). ალფრედ რამბო თავის რუსეთის ისტორიაში, მოსკოვის პერიოდის აღწერის დროს, მოგვითხრობს, რო რუსი—გლეხი თავის მართლმადიდებლობის ქერქ ქვეშ უწინდებურათ წარმართი იყო (ზოსიმოვსკი. Есть ли у русскихъ религія ნაწ. II, გვ. 155). „მე მახსოვს, ამბობს პოსოშკოვი, რომელიც თვით გლეხთაგანი იყო,—„მე მახსოვს, მოსკოვში ერთმა მეასედმა ხალხისამ, თუ იცის, რა არი ქრისტიანობრივი სარწმუნოება, ან, ვინ არის ღმერთი, რა არის მისი ნება, როგორ უნდა აღასრულოს იგი, რო-

გორ უნდა ილოცოს, როგორ უნდა თაყვანისცეს ღვთის მშობელს, ანგელოზებს, წმიდანებს და ხატებს“ (დეკ. მარკოვი. Чѣмъ объяснить отношеніе ко св. прав. церкви формалное однихъ ея членовъ и равнодушлое другихъ. Публич. чтеніе მოსკოვი 199 წ. გვ. 2). საიდუმლო აღსარებას და ზიარებას ძალიან იშვიათად ასრულებდენ, რათგან არ იცოდენ მათი მნიშვნელობა. გერბეშტეინი ამბობს, რო დაბალი ხალხი თავის თავს ვალდებულათ არ თვლიდა აესრულებია ეს ქრისტიანული მოვალეობა, რათგან, მათის აზრით, ეს შეფეროდა მხოლოთ მაღალ წოდების და ხარისხის კაცებს. დიმიტრი როსტოველის თქმით, არა მარტო დაბალი ხალხი იყოამნაირი დაუდევარი ქრისტიანიშრივი მოვალეობის აღსრულებაში, არამედ თვით ღვდლების ᲪᲮᲚᲨᲕᲘᲚᲜᲘᲪ. როდესაც ღვდლების შვილებს ნიშნავდენ მამების ადგილზე ღვდლებათ, მათ ჩვეულებრივათ, ეკითხებოდენ, ზიარებულან, თუ არა და ხშირათ მათგან იღებდენ პასუხს, რო მათ არ ახსოვთ, რომ ოდესმე აესრულებიათ ეს მოვალეობა. პოსოშკოვი ამბობს, რო თვით მოსკოვში ბევრი იყო იმისთანა, რომელსაᲪ მიუღწევია 60 წლამდი და არ ზიარებულა ამასვე ამტკიცებენ მრმვალნი სხვანიც (პროფ. სოკოლოვი. древне-рус. духовникъ 195-200 და 236). 1722 წ. პორუჩიკი კოპტელოვმა გამოძიებით გამოარკვია, რო მარტო სტარაია რუსაში (ნოვგოროდის გუბერნია) რიᲪხვი არ ზიარებულთა, რომელნიᲪ თვით ღვდლებს დაუფარავთ, ყოფილა 2904 კაცი (ib. 237). ამას მიუმატეთ ისინიᲪ, ვინც არ ზიარებულან, მარა, რომელთ დაფარვა ღვდლებს, ან არ ნდომებიათ და, ან ვერ მოუხერხებიათ,—მიიღეთ მხედველობაში ისიც, რო მაშინ სტარაია რუსაში მᲪხოვრებთა რიᲪხვი მეტიᲪ არ იქნებოდა, და დარწმუნდებით, რომ ამ მოვალეობის აღმასრულებელნი, ან სულ არ ყოფილან ამ ქალაქში და ან, თუ იყვენ, მათი რიᲪხვი უნდა ყოფილიყო ძალიანი მᲪირე.

ᲚᲘᲡᲬᲛᲝ“ (დიმიტრი როსტოველის თხზულებანი მომოსკოვი 1857 წ. ტ. II, გვ. 576). გაუნათლებლობას თან ერთოდა უკიდურესობამდი გავრცელებული სიმთვრალე და ზნე დაცემულება. დე-ველური de (Belsuor) მეთვრამეტე საუკუნის სამᲪიან წლებში ამბობდა: რუსეთის საღვდელოება „თითქმის თლად გაუნათლებელია, ყველანი სიმთვრალეს მისდევენ და თითქმის არა აქვთ გძნობა პატიოსნებისა“ (ბილბასოვი. Исторія Имп. Екатерины II,ტ. XII, 217 და ღვ. პოპოვი. მოხს. თხზ. გვ. 61). ამნაირათვე ახასიათებს საღვდელოებას პოსᲝშკოვი. ის მოგვითხრობს, რო მის დროს (XVIII საუკ. პირველი ნახევარი) საღვდელოების წარმომადგენელნი ყველანი გაუნათლებელნი და ლოთები იყვენ (ღვ. პოპოვი. ხსენ. თხზ. 144). დიმიტრი როსტოველის, ტიხონი ვორონეჟელის თქმით, მათ დროს ღვდლათ მიდიოდენ არა იმისთვის, რო ხალხის ინტერესებისთვის ემსახურნათ, არამედ ლუკმა პურისთვის (Ibid. 146). მიტროპ. არსენი ბძანებას Ცემს, იღუმნობის კანდიდატი გამოსცადონ, იᲪის, თუ არა წიგნის კითხვა და სიმბოლო სარწმუნოებისა (Ibid. 194).

მთავრობა იძულებული ხდებოდა გამოᲪა ბძანება ესწავლებიათ სასინოდო უწყების ღვდელთ მონაზონთათვის საყოველდღეო უბრალო და მოკლე ლᲝᲪვები (ibid. 379). ამის შემდეგ, გასაკვირᲝᲪ არ უნდა იყოს, რო მაშინდელი სამღვდელოება წინააღმდეგი იყო ხალხის განათლებისა პროფ. სმირნოვი. Древне-русскій духовникъ (მოსკ. 1913 წ. გვ. 240). რეგლამენტი იძულებულია იზრუნოს იმაზე, რო საღვდეოოებამ ღვდელმოქმედების დროს, სიმთვრალის გამო, არ დაარღვიოს წეს-რიგი ეკლესიაში, რათგან მთვრალი ღვდლები წირვის შესრულებას არ ეროდებოდენ. აგრეთვე თვალ-ყური უნდა ედევნებიათ, რო ღვდლები საᲯაროთ კრივში (Кулачный бой) არ გამოდიოდენ, დუქნებში არ ექეიფნათ და მთვრალნი ქუჩაზე არ გდებულიყვენ (ღვ. პაპოვი. იქვე 194-195 და ზნამენსკი. Руководство курс. церковной исторіи Казань 1888 ვვ. 118).

მეფეები საეკლესიო საქმეებში ერეოდენ, საღვდელოების და ხალხის დაუკითხავათ ნიშნავდენ ეპისკოპოზს—კათალიკოზებს[3]); ეკლესია და საღვდელოება აუტანელ გადასახადების გამო, დიდათ შევიწროებულნი იყვენ, ხალხიც იმნაირ მდგომარეობაში იყო, რო მას არ შეეძლო ეკლესია სილარიბიდან დაეხსნა.[4]).

3) რუსეთის ეკლესიის მდგომარეობა იმ ხანებში აუტანელი ივო. შეიძლება ვთქვათ, რომ ეკლესია, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, გაუქმებულ იქნა, ეკლესიურ საქმეების მართვა საერო მთავრობის ხელში იყო გადასული. საქმე იქამდი მივიდა, რო საღვდელმსახურო წიგნების ბეჭდვაც—კი არ შეეძლო სინოდს კაბინეტ—მინისტრის ნება დაურთველათ. თვით დაბეჭდილი წიგნებიც ისე უნდა შეესწორებიათ, როგორც ამას მოისურვებდა საერო მთავრობა (ღვ. პოპოვი. ხსენ. თხზ. გვ. 47-48). ეპისკოპოზების დევნა, მათი დასჯა, დამცირება, ღირაების ახდა და ციებირში გადასახლება ჩვეულებრივი მოვლინება იყო. ამისანა ბედი ეწვია ბევრ ღვდელმთავრებს (მიტროფანოლიტნი: ეგნატე სმოლა, არსენი მაციევიჩი- არქიეპისკოპოზნი: გიორგი ლამკოვი თეოფილავტე, აარონი, თეოდოსი და სხ. C ibid. გვ. 48 54, 502. 521, 591, და სხ.) საღვდელოების წარმომადგენელებს, განურჩევლათ ხარისხისა, საჯაროთ ტანჯავდენ,—არა თუ ყოველნაირ წამებას აყენებდენ (გაწკეპლვა(кори), გამათრახება და სხ, იხ. C ibid. 52, 129' 157. 197-198 და 201), არამედ საჯაროთ, ანძაზედაც აგებდენ (ibid. 48(.-საღვოელოების დაბალ წევრების უუფლებლობაზე ამის შემდეგ, მგონი, საჭიროც არ უნდა იყოს სიტყვის გაგძელება. ვისაც ნებავს ამაზე ცნობები, შეუძლია მიმართოს პროფ. სმირნოვის და ღვ-პოპოვის ზემოხსენებული თხზულებებს.

ეს ის დრო იყო, როდესაც ეპისკოპოზები ვალდებული გახადეს გაეჩინათ ცხენის ჯოგები. თვისი ხარჯით შეენახათ და მოთხოვნილებისამებ დრაგუნის პოლკებისთვის გაწრთვინილი ცხენები ეძლიათ (ღვ. პოპოვი ibid. თხზ. 42). მონასტრები სავსე იყო ჯარის კაცებით, შეშლილებით, დასჯილები და ტყვე თურქთათრებითაც კი (ibid ем). ყველა ესენი მონასტერში არას აკეთებდენ. მათგან ბერ-მოლაზენები იმდენათ შეწუხებული იყვენ, რომ იძულებული ხდებოდენ მიეხება. არა თუ არ აძლევდენ სასულიერო მთავრობას სამამულო გარდასახადებს, არამედ ცეცხლითაც ანადგურებდენ ეკლესია—მონასტრების ქონებას (ღვ. პოპოვი. მოხს. თხზ. 219). არას ვიტყვით ხალხის სარწმუნოების ფარისევლურ ხასიათზე, გარეგან კეთილმორწმუნეობაზე (გოლუბინსკი. О реформѣ въ бытѣ руской церкви. (მოსკ. 1913 წ.) გვ. 14), წვალებლობა—ურჯულობა (изуверство) და მათი დევნულებაზე და მრავალ სხვაზე, რითაც მდიდარია რუსეთის მე XVII—XVIII საუკუნეების საეკლესიო ისტორია.

4. საეკლესიო მამულები რუსეთში დატვირთული იყო სახელმწიფო გადასახადებით. მაშინდელი სასულიერო მთავრობის ოცნებას შეადგენდა, რო საეკლ. მამულებისთვის დაედვათ იმდენი გადასახადი, რამდენსაც ახდევინებდენ საერო მემამულეებს. მარა საქმით-კი ეკლესია-მონასტრებიდან მიქონდათ მთელი შემოსავალი, ხოლო მემამულეებს-კი ათავისუფლებდენ (ibid. 117). მე XAIII საუკ. მეორე ნახევარში ეკლესიის მატერიალური მდგომარეობა აუტანელი იყო. ადგილ - მამულები საერო უწყების გამგეობაში გადვიდენ. განაგებდენ აფიცრები, რომელთაც ასწერეს ყველაფერი, როგორც უძრახავი, ისე მოძრავი ქონება. რაც მოეწონებოდათ: საეკლესიო სამკაული ძვირფასი ნივთები, მომკილი პური, თივა, ოთხფეხი საქონელი და სხ. განურჩევლათ მიქონდათ და მიერეკებოდენ (ibid. 270, 254, 255 და 458). ამნაირი ძალდატანება და უსამართლობა მამადიანებშიაც არ არისო, ამბობდა მიტროპ. ახსენი მაციევიჩი (ibid. 505)- გარეგანი მიზანი მამულების ჩამორთმევისა იყო, ვითომ მათი კარგათ მოვლა, რო შემოსავალი საღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესობას მოხმარებოდა. მარა შემოსულ ფულებს სულ სხვა საჭიროებისთვის ხმაროობდენ: მაგ. არყის ქარხნების გამართვა, გაღარიბებულ თავადების ფეხზე წამოყენება, სასახლეში მყოფ მასხარების და ჯუჯა კაცების შენახვა და სხ. (ib. 9553). სახელმწიფო გარდასახადების გარდა, საღვდელოება იხდიდა გადასახადს ღვდელთმთავრების სასარგებლოთაც (ib. 148 და 281) და ეს გადასახადები იმდენათ დიდი და საგძნობელი იყო, რო საღვდელოება მატერიტოებიათ მონასტერი, რათგან გინება, ცემა-ტყეპა და აურ-ზაური სალდათთაგან მათ ვერ აეტანათ (ibid. 59). ზოგჯერ ეპისკოპოზების სახლები დათვით ეკლესიებიც სავსე იყო ამნაირი მდგმურებით ibid. 77). უსაქმობის გამო, მთვრალობას მისდევდენ და მონასტრებში შექონდათ დემორალიზაცია, რის გამოც ბერული ცხოვრება უკიდურესათ დაეცა (ibid. 128). მონასტრების შენობები, რაც სალდათებს გადურჩებოდა, გადაქცეული იყო სახელმწიფო საჯინიბოებათ, რომელთაც შენახვა დაკისრებული ქონდა სასულიერო წოდებას (ibid). "შენ ქრისტეს ეკლესიის მწყემსი ხარ, დაცინვით ეუბნებოდენ ღვდელთ მთავრებს,-იყვენ საჯინიბოთ გამგეთაც, სხვა სასულიერო პირები-ცხენების მომვლელებათ და, ქრისტეს ცხოვართა მაგიერ, წყესე ჰაკი ცხენები„ (ibid. 116).

საეკლესიო კრებები იმ ხანებში თითქმის არ ყოფილა, რო მათის საშვალებით შესაძლო ყოფილიყო საეკლესიო საქმეების მოწესრიგება[5]). ერთი სიტყვით, იმ დროს საქართველოს ეკლესია, მათი თქმით, ემსგავსებოდა იმ კაცს, რომელსაც „ავაზაკნი დაეხსნეს, განსძარცვეს იგი, დაჭსწყლეს, და წარვიდეს, და დაუტევეს მწყდარი“ (ლუკა 10, 30). დიდ ხანს არ აღმოჩდა კაცი, რო მისთვის ეპატრონა, შეეხვია წყლული... მხოლოთ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთმა ნახა საქართველო და მისი ეკლესია ამ მდგომარეობაში და, ვითარცა მოწყალე სამარიტელმა, უპატრონა მას, განკურნა ყველა წყლულები. ახლა-კი საქართველოს ეკლესია უმადურობას იჩენს, აქვს სურვილი გამოეყოს თავის კეთილის მყოფელ მმართველ ეკლესიას.

ამბერი.

(შემდეგი იქნება).

5.) იხ. Дѣянія II Отдѣла Предсоб. Присутствія ტ. III. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ბრალდების წამოყენება ეკუთნის წარმომადგენელს იმ ეკლესიისას, რომელშიაც ორასი წლის მანმავლობაში არ ყოფილა არც ერთი საეკლესიო კრება.- რომელშიაც, ისტორიკოსი გოლუბინსკის თქმით, კრებითი მართვა და კრებათა მოწვევის შესახებ საეკლ. კანონები არას დროს არ ყოფილა რიგიანათ შესრულებული (ე. გოლუბინსკი. მოხს თხზ. გვ. 87).

ალურათ უკიდურესი მდგომარეობამდის იყო მისული. ღვდელები, არქიეპ. გიორგის თქმით, მათხოვრებზე უარესები იყვენ (ib. 146. 147). ყველა ამის გამო, ეპისკოპოზთა კათედრები ვალებით იყვენ დატვირთული, უკიდურეს სიღარიბის გამო, ხშირათ ღვდელთმთავარნი მოწყალების თხოვასაც არ უკადრისობდნენ (ibid. 270) რასაკვირველია, საღვდელოებას ხალხშიაც პატივი ეკნებოდა აყრილი (ib. 146. და პროფ. სმირნოვი. მოხს. თხზ. 181), რათგანაც ხალხს ამის მაგალითს აძლევდა თვით მთავრობაო (ღვ. პოპოვი. მხს. თხზ. 154-156). მემამულეები ღვდლის ხარისხს არაფრათ აგდებდენ, თავის ნებით ასამართლებდენ და სჯიდენ ღვდლებს. იყო შემთხვევა, და არა ერთი, როდესაც ნამეტანი მ თგან ცემისგან ღვდელები სიცოცხლეს გამოსალმებიან (ib. 151). ღვდელს შინ მიღების ღირსადაც რ თვლიდენ. იყო მაგალითი, როდესაც ბწყინვალე შობის დღეს ქრისტიანულ წესის ასასრულებლათ მოსულ ღვდელს მემამულემ ღვდელმოქმედება შასრულებია ბოსელში (ib. 202). ეპისკოპოზს ამ დროს რუსეთში არ ირჩევდენ, არამედ პირდაპირ უმაღლესი მთავრობა ნიშნავდა (ib. 322-323), როგორც ამას შემდეგშიაც ვხედავთ.

აი, ამნაირი ეკლესიის წარმომადგენელი კიცხავდენ იბერიის ეკლესიის წეს-რიგს, მის მდგომარეობას საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა ხანებში და, განა არ უნდა გვეთქვა: “მოძღვარ, განიკურნე თავი შენიო“?!.

საისტორიო ცნობა.

აზრუმის აღება ყველას სალაპარაკოდ გაჰხდომია. მცირე აზიაში ერთად-ერთი სიმაგრე იყო. იქიდან საფრხე აღარსად არის. განსაკუთრებით ტრაპიზონისკენ გზა გაშლილია.

აზრუმიც, ტრაპიზონიც ქართველისთვის ღირს—სახსოვარი უნდა იყოს. პირველს ძველად ერქვა **კარნუ ქალაქი**, ხოლო მეორეს **ქალდე**. აზრუმის ვილაეთში მთელი ბახიანას ხეობა ეთნოგრაფიული საქართველოს ნაწილია. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ილია ჭავჭავაძის დის, ქვრივის ელისაბედ საგინაშვილის მოურავი, აწ განსვენებული ჩიკოიძე მოგზაურობდა აზრუმისკენ და გზაში, ბახიანის ხეობაში, გავლის დროს შეჰხვედრია მაჰმადიანებს, რომელნიც ქართულს ლაპარაკობდნენ. ჩიკოიძეს გამოუკითხავს ვინაობა და სადაურობა. მათ უპასუხნიათ, ჩვენ არსაიდან არა ვართ მოსულნი, ათადან ბაბადან აქაურები ვართო. ეს ამბავი გადმომცა თვით განსვენებულმა ჩიკოიძემ. ბახიანას ხეობა სწორეთ ის ადგილია, სადაც თამარ მეფემ ნუქარდინ სულთანზე გაიმარჯვა და რუსებს შარშან და წელს (ჰასანკალა და სხვა ადგილებში) არა ერთხელ უფრენიათ თურქები. აზრუმში, მეთვრამეტე საუკუნეში, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ჯერ კიდევ იჯდა ქართველი ეპისკოპოზი, **აზრუმელად** წოდებული.

ტრაპიზონის ვილაიეთი ბუნებრივი გაგრძელებაა ეთნოგრაფიული საქართველოსი. დიდი სამსახური გაუწევიათ მის მკვიდრთ ძველად

საქართველოსთვის. თემობით მეგრელები (ჭანები) და სარწმუნოებით დღეს მაჰმადიანები ძველად მართლ—მადიდებლები იყვნენ და მოძმე ქართველთა შორის ქრისტიანობის ქადაგებას და, შემდეგ, გამტკიცებას დიდი ღვაწლი დასდევს. წმიდა ნინო ჭანეთის ქვეყნელი (კაბადოკიელი) იყო. იქიდანვე იყვნენ ცამეტნი სირიელნი მამანი, რომელნიც, ვახტანგ გორგასლანის სიკვდილის შემდეგ, სიმონ მესვეტის ჩაგონებით მოვიდნენ ქართლში ქრისტიანობის განსამტკიცებლად, ცეცხლის თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ. როგორც მათ, ისე დანარჩენ ჭანებს ბერძნები ეძახდნენ თეთრ სირიელებს (გლავკო სირიოი). გასარჩევად იმ სირიელებში, ანუ ქალდეველებში, რომელნიც მესოპოტამიის მკვიდრადვე დარჩნენ. ქალდეველი და ქართველი ერთი და იგივე სიტყვაა. თამარ მეფემ ჭანეთი წაართვა ლათინებს, დააარა ცალკე სახელმწიფო, რომელიც დაუმკვიდრა თავის ნათესავს ბერძენთ კეისართა შთამომავალს კომნენსა.*) მაგრამ ბოლოს კონსტანტინეპოლთან ერთად თურქთა საბრძანებელი შეიქნა, ბოლო მკვიდრთ აღიარეს ისლამი. ბერძნის ტრაპიზონელ ეპისკოპოზს დღესაც ქალდეველი ეწოდება. ტრაპიზონში, როგორც ვიცით, მარხია ბერძნის ეკლესიის გალავანში იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე, რომელმაც რუსთა ტყვეობას თავი დაახწია.

1783 წ. ერეკლე მეორისა და რუსთ ხელმწიფის ეკატერინე მეორის შორის დადებულის პირობით, რუსის მთავრობა მოვალედ აღიარებდა თავის თავს საქართველოსთვის დაებრუნებინა ის მიწა წყალი, რომელიც საქართველოს ბუნებრივი ნაწილი იყო და ოსმალეთის საუფლებელს შეადგენდა.

პეტრე მირიანიშვილი.

სახელმწიფო დუმა.

9 თებერვალს, დილის 2 საათზე პეტროგრადში სახელმწიფო დუმა შეიკრიბა და კრების გახსნას დაესწრო თვით ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

ხელმწიფის წაბძანების შემდეგ, დეპუტატებს სიტყვა უთხრა სახ. დუმის თავმჯდომა, რე როძიანკომ, რომელმაც თვისი სიტყვა ასე დაასრულა: ისმინეთ, ვინც ჩვენთან ხართ! ხალხის გადაწყვეტილება შეურყეველია: ნუ მოელით ზავს, ჩვენ ვიბძოლებთ შეუბრალებლათ და ბოლომდის!

შემდეგ სიტყვას ამბობს მინისტრთა საბჭოს „ახალი“ თავმჯდომარე შტიურმერი. ეი, რას ამბობს „ახალი“ პრემიერის დეკლარაცია: „ომმა იფეთქა მაშინ, როცა რუსეთი შინაური ცხოვრების გარდაქნას შეუდგა, რაიცა მთავრობისგან განსაკუთრებულ სიფთხილეს ითხოვდა...

...მომავალი ძლიერ და მხნე რუსეთს გვიქადის. მარა აქითკენ იმ გზებს მივყავართ, რომელნიც ითხოვენ წინდახედულ მოპყრობას. საზოგადობრივი აზრი მთავრობის წინაშე დიდ უსამართლობას გამოიჩენდა, თუ მას ამ წინდახედულობისთვის საყვედურს გამოუცხადებდა. პირიქით, მთავრობა დანაშაულს ჩაიდენდა, უკეთუ ის აჩქარებით და ნაუცფათევათ იმოქმედებდა და ეს იმდროს, როცა პირველ ყოვლისა საჭიროა დაკვირვება და საგნის შესწავლა შინაურმა საკითხებმა თვისი ადგილი უნდა დაუთმოს ომით გამოწვეულ საჭიროებას.„

დღეს შინაური პოლიტიკური ცხოვრების გარდაქნის დიდი საჭიროებაა წამოყენებული, სახელმწიფო დუმის დეპუტატებიც ამაზე ფიქრობენ და ბჭობენ და „ახალი“ პრემიერის დეკლარაციაც მის გარშემო ტრიალებს და მთელი ჩვენი ძალა ჩვენს გამარჯვებას უნდა შევწიროთო. რეფორმები—კი მერე... საერთაშორისო ომის დამთავრების შემდეგ...

ამ რიგათ, პრემიერი შტიურმერი პროგრესიული ბლოკის წინააღმდეგ ილაშქრებს. იგი ისევ ძველ პოლიტიკის გაძღოლას აპირობს და შინაურ რეფორმებზე ფიქრი ფუჭი ოცნებაა ,.

ასეთი სიტყვები ჩვენთვის არ ახალია, ძველია.

რუსეთიც, რათქმაუნდა, „გაყუმდება“, სანამ „მაღლიდან“ რასმე არ უწყალობებენ.

*) საიდან ენათესავებოდა თამარ მეფე კომნენებს, დიდათ საჭიროა „ქართ. ცხ.“ ეს თქმა აიხსნას.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი რომანოზ ფანცხავა.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. სტამბა „ძმობა“, ქარავასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“,

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი — 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცი „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეთები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეთები.

შეწყეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. ო. ტინტაძე.